გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 101
(11 455)

22 – 25 დეკემბერი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



2

# ქართული სპორტის ხსნის გზა ადგილობრივ დაფინანსებაზეც გადის

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი თავკაცი ირაკლი მეძმარიაშვილი რეგიონების, სპორტული საზოგადოების, ფედერაციებისა და უწყებების ხელმძღვანელებს ერთდროულად შეხვდა.**

ასეთი შეხვედრა ყოველთვის სასარგებლოა და არა მხოლოდ იმიტომ, დეპარტამენტის, როგორც ქვეყანაში სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელის და პოლიტიკის გამტარებლის როლი გამოჩნდეს, არამედ, უფრო იმიტომაც, ერთიანმა სამყარომ ერთად მოისმინოს სატკივარი, იქვე გაეცეს პასუხი ყველა კითხვას, დაისახოს რალაც გზები და მიმართულებები. და კიდევ, ასეთი შეხვედრა ძალზე აუცილებელი და დროული იყო დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარისთვის, რომელიც ენერგიულად ეცნობა პრობლემებს დანიშვნის პირველი დღიდანვე.

სულ პირველად ერთი თვის წინათ, ირაკლი მეძმარიაშვილი ქუთაისში ჩავიდა, აგერ, ამ დღეებში კი ფოთს და ბათუმს ეწვია. დღეს ძნელია, სადმე მოსაწონი რამ ნახო, მაგრამ შავიზღვისპირა ქალაქები ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია. თავმჯდომარე კმაყოფილი დარჩენილა სპორტისადმი იქაური ხელმძღვანელების დამოკიდებულებით, მომავლის გეგმებით, რაც მან ზემოხსენებული შეკრების დასაწყისშივე აცნობა მოწვეულებს.

თათბირზე იმდენი რამ ითქვა დამაფიქრებალი და... ალმაშფოთებელიც, რომ ამ ერთ საგაზეთო წერილში მათი გამომზეურება ვერ მოხერხდება და დროდადრო ცალკე დავუბრუნდებით. აქ მხოლოდ შევჩერდებით საერთო პრობლემებზე, რომელიც აშკარად გამოიკვეთა სამხარეო სპორტის სამმართველოების, ადგილობრივი სპორტკომიტეტების ხელმძღვანელების თუ ცალკეულ სპეციალისტთა გა-

იხ. მე-2 გვ.

# SOS დამარხეს... სპორტი!

## ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გადაიქცა საცურაო აუზი ახალციხეში ბენზინგასამართ სადგურად

ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აქვს ისეთი შეუზღუდავი გასაქანი ადამიანის ავადმყოფურ ფანტაზიას, როგორც საქართველოში, რასაც თითქმის ყოველდღიურად გვახსენებენ და პრაქტიკულად გვიდასტურებენ ჩვენებური „გენიოსები“, სახელმწიფო მოხელეების მხარდაჭერითა და ხელდასმით. აბა, სხვაგან რომელ ქვეყანაში მოიაზრებენ და რეალობად აქცევენ ისეთ ფანტაზიას, როგორც ეს ახალციხეში მოიფიქრეს და განხორციელდა კიდეც?

კომუნისტების ეპოქაში ახალციხეში ერთადერთი საცურაო აუზი აშენდა, რაც არა მხოლოდ სპორტის განვითარებას, მოზარდებისთვის ცურვის მასობრივ შესწავლას და მოსახლეობის გაჯანსაღებას ემსახურებოდა. მერე ამ აუზსაც იგივე დაემართა, რაც დანარჩენ 139 საცურაო აუზს 140-დან. ე.ი. „ლაგუნა-ვერეს“ გარდა. მაგრამ იმით, რაც ახალციხეში ჩაიდინეს, სამუდამოდ დაესვა წერტილი ამ სპორტული ობიექტის ამოქმედების პერსპექტივას. უბრალოდ, ადგნენ და აუზი დამარხეს, ამ სიტყვის არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. თუ როგორ, ამაზე ქვემოთ. ქონების მართვის ადგილობრივ მოხელეებს აუზი საპრივატიზაციო ნუსხაში ჩაუწერიათ, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ საძრახისი ის არის, რომ აუზი მისი ფუნქციის შენარჩუნების გარეშე გადაუციათ კერძო მფლობელისათვის. ახლა არ იკითხავთ, რისთვის?.. ბენზინგასამართი სადგურისთვის (?!). ჩალის ფასად ხელში ჩაგდებული ეს ობიექტი მართლაც კარგი რამ გამოდგა, თურმე, სხვაგან მიწა უნდა ამოთხარო, ხარჯები გაილო და ბენზინსაცავი შექმნა, ანუ ცისტერნები ჩაალაგო. აქ კი, საამისო ადგილი გამზადებული იყო, თანაც ბეტონის ძირით და კედლებით, რაც ალბათ, ათჯერ გაუხანგრძლივებს ლითონს „სიცოცხლეს“. დანარჩენი რა, დააყარე ზემოდან მიწა და დამარხე... აი, ასეთი ამბავი მოხდა ახალციხეში.

რალა ირწმუნოს ამის შემხედვარე მოსახლეობამ?

# თოვლი ბაკურიანსა და გუდაურში

**გუშინ, „ლელო“ დაუკავშირდა ბაკურიანს და გუდაურს, საიდანაც შეგვატყობინეს, რომ ამ ზამთრის კურორტებზე, როგორც იქნა ხვავრიელად მოთოვა. ეს კურორტები კარგა ხანია მზად იყო დამსვენებელთა მისაღებად და იქაური მასპინძლები მხოლოდ თოვლის მოსვლას ელოდნენ.**

# პრეზიდენტმა მოჭადრაკეებს თანადგომა აღუთქვა

**გუშინ. ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენებს შეხვდა. პრეზიდენტმა ჩვენს მოჭადრაკეებს წარმატება მიულოცა და ყოველმხრივი მხარდაჭერით დაიმედა. პრეზიდენტის მოთხოვნით შემუშავდება საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. ამასთან, პრეზიდენტის ფონდიდან ჩვენი საჭადრაკო ფედერაცია მომავალი წლის დასაწყისში 150 ათას ლარს მიიღებს.**

# რას უქადის საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ გახმაურებულ ამბებში ხელისუფლების ჩარევა?

საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში არაერთხელ დაინტერესებულა ქართული ფეხბურთის და კონკრეტულად თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის ბედით და მუდამ მზად იყო ხელი შეეწყო პრობლემების მოგვარებაში. გამონაკლისი არც ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მძიმე წლები ყოფილა. ყველამ კარგად იცის იმ დიდი შეღავათების შესახებ, რაც პრეზიდენტმა თავისი განკარგულებით უბოძა თბილისის „დინამოს“. მაგრამ ვინ როგორ გამოიყენა ეს თანადგომა, რატომ დგას დღენიადაგ დღის წესრიგში კლუბის ფინანსური პრობლემები, რატომ ეწყობა დაუსრულებელი შემოწმებები, რატომ გროვდება ვალები და, ბოლოს, რატომ იმართება სასამართლო პროცესები?

აი, ამ ფონზე ერთხელ კიდევ მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება „დინამომ“, და, საერთოდ, ქართულმა ფეხბურთმა, როცა, გუშინწინ, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად ამ კლუბის ირგვლივ დატრიალებული ძველი და ახალი ამბები განიხილეს, ეროვნული სტადიონის და ზოგადად ქართული ფეხბურთის პრობლემებთან ერთად, რასაც საკმაო დრო დაეთმო.

გახსოვთ ალბათ, ამ რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც ჩვენი საფეხბურთო პრობლემები უნდა შეესწავლა. ახლა ამ კომისიის წევრებიც მიიწვიეს მთავრობის სხდომაზე, რომლებიც, ცხადია, „დინამოს“ და ეროვნული სტადიონის ბურუსით მოცულ თუ სადავო საკითხებშიც უნდა გარკვეულიყვნენ.

პირდაპირ ვიტყვით, სხდომის საერთო შთაბეჭდილება მძიმეა. უკვე დაუფარავად ითქვა კორუფციაზე, ტრანსფერებიდან მითვისებულ თანხებზე და სხვა დარღვევების სრულყოფილ გამოძიებაზე, რასაც ტონი თვით პრეზიდენტის პოზიციამ მისცა. ახლა უკვე ახალი კომისია შეისწავლის ამ საკითხებს სახელმწიფო მინისტრის გია არსენიშვილის, შს მინისტრის კახა თარგამაძის და სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თედო ისაკაძის ხელმძღვანელობით.

მოკლედ, როგორც ჩანს, ერთხელ და სამუდამოდ დაესმება წერტილი ამდენ აურზაურს, რამაც ქართულ ფეხბურთს და მის პრესტიჟს კარგი არაფერი მოუტანა.


5

ფიგუ ევროპის №1 ფეხბურთელი

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## სასამართლო პროცესი

გასულ ორშაბათს შეწყვეტილი პროცესი საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტის მერაბ რატიანის საქმესთან დაკავშირებით დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ ხუთშაბათისთვის გადადო. წინა სხდომაზე ვეტერანი ფეხბურთელი „ალანიას“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი დაიკითხა როგორც მოწმე. გუშინ პროცესი განახლდა, დაიკითხნენ თბილისის „დინამოს“ კადრების ინსპექტორი და სააქციო საზოგადოება „მზიურის“ მთავარი ბუღალტერი. პროცესი მოწმე ვაჟა ქვანიას გამოუცხადებლობის გამო დღეისთვის გადაიდო.




სახელგანთქმულმა გერმანელმა ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა გადაჭრით უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ, თითქოსდა, იგი აპირებდეს გაიხანგრძლივოს სპორტული კარიერა. გაზეთ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა.

## ირანელი ფეხბურთელების ულტიმატუმი

თურქეთში საყურადღებო ამბავი მოხდა. „ერზურუმსპორის“ სამმა ირანელმა ფეხბურთელმა კლუბის კუთვნილი ავტომობილი გაიტაცა და 400-კილომეტრიანი „გარბენის“ შემდეგ სამშობლოში ამოყო თავი. მათი განცხადებით, ისინი ავტომანქანას არ დააბრუნებენ, სანამ „ერზურუმსპორის“ მთავარი მწვრთნელი სტანისლავ კარასი არ დატოვებს თანამდებობას.

* * *

***ტრადიციისამებრ, წლის ბოლოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასახელებენ რჩეულ სპორტსმენებს***

***უნგრეთი.*** სიდნეიში თავგამოჩენილი, ოლიმპიური ჩემპიონი, მოცურავე აგნეშ კოვაჩი და ტანმოვარჯიშე სილვესტრ ჩოლანი.

***მაროკო.*** მძლეოსნები — ხიშამ ელ-გერუჟი და ნუჟა ბიდუანე.

***ბულგარეთი.*** ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში ტერეზა მარინოვა.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 8 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

*ე. შევარდნაძე*

# ქართული სპორტის ხსნის გზა ადგილობრივ დაფინანსებაზეც გადის

*პირველი გვერდიდან*

მოსვლებში. მიხვდით, ალბათ, უპირველესი საერთო პრობლემა ფინანსების უკმარობაა. ჯერ 3-4 ათასი რა არის, რაც რაიონებშია სპორტზე გამოყოფილი, მაგრამ თურმე, ამასაც ან ნაწილს, ან სულაც ვერ იღებენ. „ჩვენთან ერთად, ყველა უნდა შევეცადოთ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიზარდოს სპორტის დაფინანსება, უნდა წავახალისოთ კერძო ინვესტიციები, მზადდება კანონპროექტი სპონსორების შესახებაც" — თქვა ირაკლი მეძმარიაშვილმა.

ადგილობრივი დაფინანსება, რომ ქართული სპორტის ხსნის ერთ-ერთი ეფექტური გზაა, ეს სადავო არავისთვის არ არის. მაგრამ ყველგან როდი ეკიდებიან ჯეროვანი პასუხისმგებლობით ამ საკითხს. განსაკუთრებით უყურადღებოდაა მიტოვებული სოფელი, რომელიც ქართული სპორტის ტალანტთა უშრეტი საბადოა. მეტ ყურადღებას მოითხოვს სპორტის ეროვნული სახეობები.

ითქვა, რომ უნდა აღსდგეს აპრობირებული სისტემა, რომელიც სპორტულ ღონისძიებებს ადრე ეტაპობრივად მოიცავდა. ესაა — რაიონული (საქალაქო), რეგიონული და, ბოლოს, ქვეყნის პირველობები და ჩემპიონატები. 2001 წლის სპორტული კალენდარი უნდა შედგეს და იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს, რაც გაზრდის ადგილობრივ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას. ქვეყნის პირველობების და ჩემპიონატების მასპინძლები კი რეგიონებიც უნდა გახდნენ.

უდავოდ მისახედია ბავშვთა სპორტი და, საერთოდ, მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხი. ამჯერადაც კიდევ ერთხელ ითქვა, რომ უმოწყალოდ მცირდება სპორტული სკოლები და ჯგუფები, სკოლებში არ ტარდება ფიზაღზრდის გაკვეთილები, სასწავლო დაწესებულებებიდან მიდიან სპეციალისტები. საჭიროა შემუშავდეს იმთ-ს მსგავსი კომპლექსები, რისთვისაც ირაკლი მეძმარიაშვილმა სათანადო დავალება მისცა კონკრეტულ პიროვნებებს.

იმისათვის, რომ პრობლემების მოგვარება არ გაჭიანურდეს, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს გადაუწყვეტია მხარეებში პრეზიდენტების რწმუნებულებთან იმუშაოს სპორტის კურატორმა.

„საქართველოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ უახლოეს წლებში მონოლითურობა და ერთიანობა შეინარჩუნა. ჩვენი სამყაროსთვის ყველაზე დიდი პოლიტიკაა ქართული სპორტის სამსახური. პოლიტიკაში თავს ნუ გავყოფთ, ეს იწვევს საზოგადოების გახლეჩას" — აი, ესეც ითქვა ამ შეკრებაზე.

ასეთი შეხვედრები სპორტის დეპარტამენტში ყოველკვირეულად გაიმართება.

**თ. თომაშვილი**

# ქართული რაგბი საუკუნეთა გზაგასაყარზე

## გესაუბრებათ საქართველოს რაგბის ფედერაციის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ალექსანდრე ძურდობაძე.

***ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა რაგბის კავშირმა გააკეთა ოფიციალური განცხადება ფლეი-ოფის ფინალური მატჩის შესახებ, განცხადებაში ნათქვამია, რომ კავშირის გენ. მდივანი (გ. ბურძგლა) და საშეჯიბრო განყოფილების გამგე (ნ. მალალურაძე) გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან, ვინაიდან ჩემპიონატის ჩატარების დებულებაში არ იყო მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა ფინალური მატჩის გამარჯვებულის გამოვლენის წესს მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში. „ყოჩები" წინადადებით შემოვიდა რაგბის კავშირში მატჩის ან გადათამაშების ან ორივე გუნდის ჩემპიონად გამოცხადების შესახებ. საქართველოს რაგბის კავშირი უახლოეს დღეებში გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას.***

5 დეკემბერს, ეროვნულ სტადიონზე გამართული ფინალური მატჩით გასრულდა საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი რაგბში.

ჩემპიონატში ორ ლიგად გაყოფილი 11 გუნდი ჩაება. უმაღლეს ლიგაში 5 გუნდი „დათვები", „ყოჩები", „ლოკომოტივი-I", ასკ და „უნივერსიტეტი" ოთხ წრედ იბრძოდნენ პლეი-ოფში გასასვლელად.

ჩემპიონატის სტარტზევე აშკარა იყო, რომ ძირითადი ბრძოლა პირველი ადგილისათვის ქვეყნის ჩემპიონებს, ბათუმის „დათვებსა" და თბილისელ რკინიგზელებს შორის გაიმართებოდა. რაც შეეხებოდა „ყოჩებს", ისინი თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს განიცდიდნენ და მათგან დიდ სიურპრიზებს არც არავინ ელოდა.

უკვე მესამე ტურიდან, როდესაც ბათუმში „ლოკომოტივმა" დაძაბულ ბრძოლაში, 18:11 დაამარცხა „დათვები", სატურნირო ცხრილს რკინიგზელები ჩაუდგნენ სათავეში და მთელი ჩემპიონატის მანძილზე ინარჩუნებდნენ 2-3 ქულიან უპირატესობას. „ლოკომოტივის" უპირატესობა მეტოქეებზე აშკარა იყო. მათ მოიგეს ყველაზე მეტი (14 მატჩი), მოაგროვეს ყველაზე მეტი (393) სათამაშო ქულა და გაიტანეს ყველაზე მეტი (56) ლელო. მხოლოდ დაცვაში ითამაშეს ბათუმელებმა რკინიგზელებზე უკეთ, გაუშვეს რა მხოლოდ 166 სათამაშო ქულა.

უკვე მესამე წრის შემდეგ გაირკვა ის ოთხეული, რომელიც ჩემპიონობისთვის პლეი-ოფში გააგრძელებდნენ ბრძოლას. პირველი ნახევარფინალური წყვილი „დათვებმა" და „ყოჩებმა" შეადგინეს. ხოლო მეორეში „ლოკომოტივი" და ასკ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

მატჩი ბათუმში მეტად დაძაბული გამოდგა. ყოჩებმა, რომლებიც მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობით ასპარეზობდნენ, შეძლეს ოპტიმალური შემადგენლობის ჩაყვანა აჭარის დედაქალაქში, სადაც ერთკვირიანი შეკრებაც გაიარეს და საბოლოოდ სენსაციაც გამოაცხვეს. 13:8 „ყოჩების" სასარგებლოდ. ასე დამთავრდა ეს მატჩი და ჩემპიონები ექსჩემპიონებად გადაიქცნენ.

ცოტა დააკლდა სენსაციას მეორე ნახევარფინალშიც. რკინიგზელები ალბათ არ ელოდნენ არმიელთა ასეთ წინააღმდეგობას და მოედანზე რამდენიმე ძირითადი მოთამაშის გარეშე გავიდნენ. არმიელთა შემადგენლობაში კი გამოირჩეოდა საფრანგეთიდან მობრუნებული ი. აბუსერიძე, რომელიც არმიელთა ყველა შეტევის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლდათ. სწორედ მისი კარგი თამაშის შედეგი იყო ის, რომ არმიელები მეტად სახიფათოდ დაწინაურდნენ — 17:0. რკინიგზელთა მთავარმა მწვრთნელმა, თ. ბენდიაშვილმა ექვსი ახალი (ძირითადი) მოთამაშე ჩააბა თამაშში და „ლოკომოტივი" გადამწყვეტ შტურმზე გადავიდა. ტაიმის მიწურულს მათ შეძლეს ერთი ლელოს გატანა და შესვენებაზე ათქულიანი დეფიციტით გავიდნენ. მეორე ტაიმიც რკინიგზელთა შეტევებით დაიწყო და მალე ანგარიში 5 ქულამდე შემცირდა. შემდეგ კი დადგა მატჩის კულმინაციური მომენტი, როცა არმიელმა უჩავამ მეტად ხელსაყრელი საჯარიმო გააცუდა. ამით გულმოცემულმა რკინიგზელებმა კიდევ ერთი ლელო გაუტანეს მეტოქეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც.

ფინალი კი, როგორც წერილის სათავეში აღვნიშნეთ, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

გუნდები სრული საბრძოლო შემადგენლობებით შეხვდნენ სეზონის გადამწყვეტ მატჩს, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, „რომ „ყოჩები" ასეთი შემადგენლობით სეზონში პირველად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

მატჩი მეტად დაძაბული და სანახაობრივად საამო საცქერი გამოდგა. მასზე უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა, ასე რომ, ჩვენ აქ მის დეტალურ გარჩევას აღარ შევუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „ყოჩებმა" სიურპრიზი შესთავაზეს მეტოქეს და ყველასათვის მოულოდნელად შერკინებაშიც და დერეფანშიც დაჩაგრეს ლოკომოტივი. გარდა ამისა, სტუდენტების მეტად აგრესიულმა დაცვამ საშუალება არ მისცა რკინიგზელებს სრულად გამოეყენებინათ თავიანთი უპირატესობა ხაზში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ყოჩი კახა კობახიძე. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ამ მატჩში მართლაც შეუდარებელი იყო. იგი იყო ყველგან, სადაც კი ამას თამაშის მიმდინარეობა მოითხოვდა და თავისი არაორდინარული გადაწყვეტილებებით დიდ საფრთხეს უქმნიდა რკინიგზელთა დაცვას. ხოლო თავისი ბომბარდირული თვისებები ამ მატჩშიც გამოავლინა და 21 ქულა შესძინა გუნდს.

და მაინც, „ლოკომოტივმა" ილოკომოტივა. რკინიგზელებსაც ჰყავდათ თავიანთი გმირი, ეს გიორგი ბუგიანიშვილი იყო. ჩემპიონატის საუკეთესო მელელოვემ არც ამ მატჩში შეირცხვინა თავი. ორჯერ თავად დაალელოვა მეტოქეები, ერთხელ კი ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს სორდიას გაეკეთებინა.

და ალბათ სამართლიანი იყო ისიც, რომ მატჩი დამატებითი დროის მიუხედავად, მაინც ფრედ დამთავრდა. იმ დღეს ეროვნულზე ორი თანაბარი გუნდი ტოლ-სწორად ებრძოდა ერთმანეთს და დამარცხებას არც ერთი მათგანი არ იმსახურებდა. და თუ დებულების თანახმად ჩემპიონად მაინც „ლოკომოტივი" გამოცხადდა, ესეც სამართლიანი იყო, ვინაიდან რკინიგზელები მთელი სეზონის მანძილზე მთელი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეებზე და ჩემპიონობაც ალალად ეკუთვნოდათ.

„ლოკომოტივისთვის" ეს სეზონის მეორე ჯილდო იყო. პირველი პრიზი მათ საქართველოს თასის გათამაშებაში გამარჯვებით მოიპოვეს.

თასის გათამაშებაში 12 გუნდი ჩაება, ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, „ლოკომოტივი" და „დათვები" გავიდნენ. ფინალური მატჩი ასკ-ს სტადიონზე გაიმართა. თამაში რკინი-



*ა. ძურდობაძე*

გზელთა შეტევებით დაიწყო და მალე დაწინაურდნენ კიდეც. შემდეგ ლოკომოტივმა კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა, მაგრამ ბათუმელები არ შედრკნენ და მაჩიტიძისა და ხონელიძის მცდელობით, მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა. მთელი მეორე ტაიმის თამაში ქულა ქულაში მიდიოდა და საბოლოოდ გამარჯვება და ახალი თასიც თბილისელებს დარჩათ.

არანაკლებ საინტერესო იყო ბრძოლა პირველ ლიგაშიც. აქ უპრობლემოდ გაიმარჯვა ქუთაისის „აიამ". გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, დ. ფულარიამ მეტად საინტერესო და ახალგაზრდული გუნდი შეკრა, რომელიც ამ შემადგენლობით უკვე 3-4 წელია ასპარეზობს და შედეგმაც არ დააყოვნა. ქუთაისელებმა დაიბრუნეს ადგილი ქართული რაგბის უმაღლეს ლიგაში, რომელსაც ქუთაისელ მორაგბეთა დიდი მიგრაცია რომ არა, ალბათ არც დაკარგავდნენ. ასეა თუ ისე, გაისად ქუთაისელებს უმაღლეს ლიგაში ვიხილავთ და, იმედია, ქუთათურები იქაც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

მეორე ადგილზე, რომელიც უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ თამაშებში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა, „ყოჩები-2"-თან და აკადემიასთან ჰიდილში „ლელო-ორბელი" (მწვრთნელი გ. ურუშაძე) გავიდა. გადასასვლელ მატჩებში კი უფრო გამოცდილმა უნივერსიტეტმა შეძლო თავისი ადგილის შენარჩუნება უმაღლეს ლიგაში.

*გაგრძელება იქნება*

## კიოკუშინ კარატე | საქართველოს ღია ტურნირი

# წმინდა გიორგის დღისადმი მიძღვნილი...

მასობრიობით გამორჩეული ეს ასპარეზობა, რომელიც მიეძღვნა წმინდა გიორგის ბრწყინვალე დღესასწაულს, ამ დღეებში დიღმის მასივის საჭიდაო კომპლექსში მისი დირექტორის ალეკო გიორგობიანის ხელშეწყობით გაიმართა. IFK კარატეს ფედერაციამ (პრეზიდენტი, შავი ქამრის მფლობელი გელა გელაშვილი), მთავარ მსაჯთა კოლეგიამ (ხელმძღვანელი კლუბ „წმ. გიორგის" პრეზიდენტი კახაბერ კაკაბაძე, რეფერი — კლუბ „თეთრი გიორგის" პრეზიდენტი გოჩა კაკაბაძე) ყველაფერი იღონეს ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: 20 კგ-მდე:*** 1. ლ. კვირჩილაძე და ნ. ლონლაძე, 3. ჯ. ჯინჭარაძე; ***22 კგ-მდე:*** 1. ა. გაგუა, 2. ვ. ვაჭარაძე, 3. გ. ბერიძე, ***24 კგ-მდე:*** 1. ო. ჩხაბერიძე, 2. რ. ტატურიანი, 3. ა. მერაბიშვილი; ***26 კგ-მდე:*** 1. დ. პაპასქუა, 2. შ. შეყლაშვილი, 3. ს. აკოპიანი; ***28 კგ-მდე:*** 1. ლ. ნავერიანი, 2. გ. ტაბატაძე, 3. ს. ნაჯარიანი; ***30 კგ-მდე:*** 1. დ. წერეთელი, 2. გ. ნადაშვილი, 3. გ. ლაკერბაია; ***32 კგ-მდე:*** 1. გ. დალაქიშვილი, 2. ზ. გურჯიძე, 3. გ. თევდორაშვილი; ***34 კგ-მდე:*** 1. ე. პირველი და ლ. ფუნჩიაშვილი; ***36 კგ-მდე:*** 1. გ. ჩიხორია, 2. თ. ტატიაშვილი, 3. გ. მერაბიშვილი; ***38 კგ-მდე:*** 1. ნ. ფოფხაძე, 2. ტ. ქორიძე, 3. თ. ცალქალამანიძე; ***38 კგ:*** 1. ი. გადელია, 2. ვ. გავაშელიშვილი, 3. ა. გევორქიანი; ***40 კგ-მდე:*** 1. ზ. გადელია, 2. ლ. მინასიანი, 3. დ. ბალხამიშვილი; ***42 კგ-მდე:*** 1. გ. პაპოშვილი, 2. მ. ფაცაცია, 3. დ. ვეკუა; ***44 კგ-მდე:*** 1. დ. ცხოიძე, 2. ბ. კეკუსაძე, 3. თ. გულედანი; 36 კგ-მდე (ყვითელქამრიანები): 1. ს. ინაშვილი, 2. დ. როსტიაშვილი, 3. კ. ბლიაძე; ***48 კგ-მდე:*** 1. ს. სოინოვი, 2. ბ. ზარიაშვილი, 3. ზ. ნაჭყებია; ***50 კგ-მდე:*** 1. გ. უჩავა, 2. ლ. ჩიხორია, 3. ა. ლიპარტელიანი; ***50 კგ:*** (ყვითელქამრიანები): 1. ი. პატარაია, 2. ლ. ტატიაშვილი, 3. ი. საბანაძე; ***41 კგ (ყვითელქამრიანები):*** 1. გ. კვარაცხელია, 2. რ. ქამიკოციანი, 3. გ. ჯიქონაია; ***42 კგ-მდე (ყვითელქამრიანები):*** 1. გ. მუჯირი, 2. გ. გოგინაშვილი, 3. დ. ჩიკვაიძე; ***55 კგ-მდე:*** 1. ვ. სივაკაშვილი და მ. მურადოვი, 3. გ. გევორქიანი; ***60 კგ-მდე:*** 1. ა. ბერიაშვილი, 2. მ. ვაზგანოვა, 3. დ. მამუკელაშვილი; ***70 კგ-მდე:*** 1. გ. მანველაძე და გ. გვარამაძე, 3. გ. კალანდია; ***75 კგ-მდე:*** 1. ტ. ავეტისიანი, 2. კ. კაცაძე, 3. შ. ჩოხელი, ***80 კგ-მდე:*** 1. დ. კობახიძე, 2. უ. ვარდიაშვილი, 3. თ. კობაიძე; ***85 კგ-მდე:*** 1. ბ. საჯაია, 2. ფ. ფირცხალაიშვილი; ***90 კგ-მდე:*** 1. ბ. საჯაია, 2. დ. ხარებავა.





კლუბმა „წმ. გიორგი" 27 წონითი კატეგორიიდან 18-ში მოიპოვა 1 ადგილი, კლუბმა „თეთრი გიორგი" — 5-ში, კლუბმა „გორგასალი" (პრეზიდენტი — გელა კუპატაძე) — 3.

***რაინდული ორთაბრძოლებისთვის დაჯილდოვდნენ:*** ნ. ფოფხაძე („გორგასალი"), დ. პაპასქუა და ი. გადელია (ორივე — „წმ. გიორგი"), ლ. ნავერიანი („ავაზა"), კ. არჩვაძე („პატარა ვარსკვლავები"), ა. გრიგორიანი („პანტერა"), ლ. ფუნჩიაშვილი („თეთრი გიორგი").

***საუკეთესო ტექნიკისთვის პრიზები გადაეცათ:*** ა. გაგუას („თეთრი გიორგი"), გ. დალაქიშვილს და ე. პირველს (ორივე — „წმ. გიორგი"), ლ. მინასიანს და ა. გევორქიანს („ს. გევორქიანის კლუბი").

***ყველაზე სწრაფი გამარჯვებისთვის დაჯილდოვდნენ:*** ტ. ავეტისიანი („ს. გევორქიანის კლუბი"), გ. ჩიხორია, მ. მურადოვი და ვ. სოვაკაშვილი (სამივე — „წმ. გიორგი"), დ. ცხოიძე და ზ. გურჯიძე (ორივე — „თეთრი გიორგი").

ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს კლუბ „ავაზას" (პრეზიდენტი — გ. სამხარაძე) და კლუბ „მიმინოს" (ნ. ცირიკაშვილი) ტურნირში მონაწილეობისათვის.

**ირაკლი ხანდამიშვილი,**

*რობერტ გაგოიანის ფოტოები.*

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

## ვანო ზოდელავა: „28 მარტისთვის ეროვნული სტადიონი მზად იქნება“

შორს არაა 28 მარტი — დღე, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინეთს უმასპინძლებს. ცხადია, ყველას გვაინტერესებს, სად გაიმართება ეს შეხვედრა. სწორედ ეს იყო ძირითადი საკითხი, რომლის გასარკვევად საქართველოს ერთდღიანი ვიზიტით ესტუმრა უეფას განვითარების პროგრამის მენეჯერი რობერტ ბოსერტი. მან მოინახულა ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის მშენებარე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული და „შევარდენის“ სტადიონები“. სტუმარმა დაათვალიერა აგრეთვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისისთვის გამოყოფილი ადგილი, რომელიც ვაკეში მშენებარე სტადიონის ტერიტორიაზე განლაგდება (როგორც ცნობილია, სფფ-ს ახალ შტაბბინის მშენებლობას უეფა დააფინანსებს). გარდა ამისა, ლაპარაკი იყო აგრეთვე აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნაკრებისათვის ახალი ბაზის ასაშენებლად. ფიფა-უეფას პროგრამიდან „გოლი პლუს ერთი მილიონი“ სახსრების გამოყოფაზე (სფფ-მ უკვე მიიღო 250 ათასი დოლარი და დანარჩენ 750 ათასსაც სამი წლის განმავლობაში მიიღებს).

და მაინც, ბოსერტის ჩამოსვლის მთავარ მიზანს დავუბრუნდეთ. როგორც ეტყობა, 28 მარტის მატჩი ჩვენს ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ამას მოწმობს ქალაქის მერის ვანო ზოდელავას მიერ გუშინწინ, სამთავრობო სხდომაზე გაკეთებული ოფიციალური განცხადება: „გადაჭრით ვაცხადებ, 2001 წლის 28 მარტისთვის ეროვნული სტადიონი მზად იქნება.“

## 1990 წლიდან დღემდე...

### რა მონაგარით შედიან ქართული საკლუბო გუნდები მომავალ საუკუნეში?

ცხრილში მოყვანილია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშების დაწყებიდან (30.03.90) დღემდე გუნდების მიერ ნაჩვენები შედეგი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბილისი) | 356 | 273 | 50 | 33 | 1085-290 | 869 |
| 2. კოლხეთი-1913 (ფოთი) | 350 | 196 | 58 | 96 | 651-377 | 646 |
| 3. ტორპედო (ქუთაისი) | 350 | 187 | 58 | 105 | 707-459 | 619 |
| 4. დინამო (ბათუმი) | 350 | 171 | 76 | 103 | 632-378 | 589 |
| 5. გორდა (რუსთავი) | 354 | 158 | 60 | 136 | 593-494 | 534 |
| 6. თსუ | 358 | 129 | 67 | 162 | 497-549 | 454 |
| 7. იბერია (სამტრედია) | 320 | 127 | 56 | 137 | 467-501 | 437 |
| 8. დილა (გორი) | 356 | 124 | 58 | 174 | 448-582 | 430 |
| 9. გურია (ლანჩხუთი) | 306 | 121 | 39 | 146 | 473-584 | 402 |
| 10. ოდიში (ზუგდიდი) | 303 | 117 | 39 | 147 | 470-540 | 390 |
| 11. სამგურალი (წყალტუბო) | 301 | 105 | 47 | 149 | 370-532 | 362 |
| 12. მარგვეთი (ზესტაფონი) | 247 | 98 | 43 | 106 | 397-443 | 337 |
| 13. მერანი-91 (თბილისი ) | 135 | 61 | 38 | 36 | 178-127 | 221 |
| 14. ივერია (ხაშური) | 213 | 62 | 31 | 120 | 235-416 | 217 |
| 15. ლოკომოტივი (თბილისი) | 105 | 57 | 25 | 23 | 152-85 | 196 |
| 16. ალაზანი (გურჯაანი) | 125 | 55 | 20 | 50 | 197-224 | 185 |
| 17. სიონი (ბოლნისი) | 168 | 52 | 28 | 88 | 184-281 | 184 |
| 18. ცხუმი (სოხუმი) | 123 | 54 | 19 | 50 | 239-199 | 181 |
| 19. კახეთი (თელავი) | 158 | 52 | 21 | 85 | 215-341 | 177 |
| 20. ვიტ ჯორჯია (თბილისი) | 105 | 46 | 29 | 30 | 130-97 | 167 |
| 21. კოლხეთი (ხობი) | 119 | 33 | 25 | 61 | 154-208 | 124 |
| 22. მზიური (გალი) | 91 | 30 | 21 | 42 | 125-162 | 115 |
| 23. ამირანი (ოჩამჩირე) | 91 | 27 | 21 | 43 | 111-148 | 102 |
| 24. მრეტები (თბილისი) | 106 | 26 | 15 | 65 | 114-210 | 93 |
| 25. საპოვნელა (თერჯოლა) | 66 | 25 | 11 | 30 | 98-122 | 86 |
| 26. მერცხალი (ოზურგეთი) | 91 | 22 | 17 | 52 | 100-176 | 83 |
| 27. სულორი (ვანი) | 57 | 19 | 10 | 28 | 82-123 | 67 |
| 28. მაღაროელი (ჭიათურა) | 66 | 18 | 11 | 37 | 81-145 | 65 |
| 29. არსენალი (თბილისი) | 58 | 14 | 14 | 30 | 55-94 | 56 |
| 30. შუქურა (ქობულეთი) | 30 | 13 | 3 | 14 | 44-57 | 42 |
| 31. დურუჯი (ყვარელი) | 60 | 9 | 4 | 47 | 51-192 | 31 |
| 32. თბილისი | 28 | 6 | 6 | 16 | 33-57 | 24 |
| 33. ეგრისი (სენაკი) | 30 | 5 | 2 | 23 | 42-90 | 17 |
| 34. ლიახვი (ცხინვალი) | 34 | 0 | 0 | 34 | 11-135 | 0 |

ამავე პერიოდის შარშანდელ ცხრილს თუ შევადარებთ, მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს „ლოკომოტივმა“ (მან მე-19 ადგილიდან მე-15-ზე გადაინაცვლა), „სიონმა (+2 ადგილი), ერთი საფეხურით წინ წაიწია „მერანი-91“-მაც. ისიც ალსანიშნავია, რომ ისევ მე-20 „ვიტ ჯორჯიამ“ მკვეთრად შეამცირა ქულათა სხვაობა „კახეთთან“ და „ცხუმთან“ და თუ ასეთი ტემპით იარა, გაისად ამ დროს, ალბათ, მე-18 პოზიციაზე ვიხილავთ.

ახლა ცხრილის სათავეში მოქცეულ თბილისის „დინამოზეც“ ვთქვათ. ჩვენი ათგზის ჩემპიონის პოზიციები იმდენად მყარია, რომ კომენტარისგან თავს შევიკავებთ. კლუბს მხოლოდ იმას ვუსურვებთ, დროზე მოეგვარებინოს შიდაპრობლემები და კვლავინდებურად ქართული ფეხბურთის ავანგარდში ყოფილიყოს.

## სფფ-ს აღმასკომის სხდომა

დღეს, 22 დეკემბერს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა.

*დღის წესრიგი:*

1. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შედეგებისა და მომავალი მატჩებისათვის მზადების შესახებ;
2. საქართველოს ახალგაზრდული (18 წლამდე და 16 წლამდე) ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში გამოსვლის შესახებ;
3. უეფას მოთხოვნების მიხედვით კლუბების ლიცენზირების შესახებ;
4. სფფ-ს სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარის დამტკიცების შესახებ;
5. სფფ-ს აღმასკომის 2001 წლის მუშაობის გეგმის დამტკიცების შესახებ;
6. სხვადასხვა.

სფფ-ს აღმასკომი.

## ბენდელას თასს სპორტის სასახლე უმასპინძლებს

***23 დეკემბერს დაიწყება ბენდელას თასის IX გათამაშება, რომელიც აფხაზეთში გმირულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის ხსოვნას ეძღვნება.***

ტურნირში, რომლის გენერალური სპონსორი ჯეოსელი გახლავთ, 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ისინი სამ ქვეჯგუფში კენჭისყრით ასე განაწილდნენ:

A ქვეჯგუფი — „კახეთი“ (თელავი), „ლიდერი“ (მინი-ფეხბურთის ნაკრები), თსუ, ლოკომოტივი (თბილისი).

B ქვეჯგუფი — დინამო (თბილისი), თბილისი, იბერია (სამტრედია), ლეგიონერები.

C ქვეჯგუფი — ბენდელა-მორკინალი, ჩემპიონი (ლეგიონერები), ნაძალადევი, ბერი.

ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითია. მასში ზაზას მეგობრებთან ერთად გამოვლენ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე გუნდები, საქართველოს ნაკრების ლეგიონერები და ცალკე რუსეთში მოთამაშე ლეგიონერები.

ძირითადი ტურნირის პარალელურად გაიმართება ბავშვთა, ვეტერანებისა და მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირები. ბავშვებში იასპარეზებს 6 გუნდი, ვეტერანებში — 4 — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, საბაჟო დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის გარნიზონის და პარლამენტის, მერიისა და საკრებულოს გაერთიანებული გუნდი.

ძირითადი ტურნირის ქვეჯგუფებში მატჩები გაიმართება 23-24 და 25 დეკემბერს, მეოთხედფინალები, რომელშიც ქვეჯგუფებში პირველ-ორ გამარჯვებულ გუნდს ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი დაემატება, 26 დეკემბერს გაიმართება. ნახევარფინალი 27 დეკემბერს ჩატარდება, ფინალი — 28 დეკემბერს. ტურნირს მოემსახურება ეროვნული ჩემპიონატის მსაჯთა კორპუსი.

## «ალაზანი» დიდია

***ვალერი ყიზილაშვილი*** და ***გოჩა ბაწაშვილი!*** — ამ ორი ენერგიული ახალგაზრდის თაოსნობით, გურჯაანში ორი თვეა ამოქმედდა საფეხბურთო სკოლა „ალაზანი“. ჯერ მხოლოდ ერთი ჯგუფია გახსნილი, რომელშიაც 1987-88 წლებში დაბადებული 20 ბავშვი მეცადინეობს.

ვალერი ყიზილაშვილი ათი წელი თამაშობდა ეროვნულ ჩემპიონატში, იცავდა გურჯაანის „ალაზანის“, ყვარლის „დურუჯისა“ და ხაშურის „ივერიის“ ღირსებას. ერთი წელია აქტიურ ფეხბურთს ჩამოშორდა და ბავშვების აღზრდას მიჰყო ხელი. გოჩა ბაწაშვილი უფრო ასაკოვანი და გამოცდილია. თავის დროზე ნოდარ ახალკაცის „დინამოში“ თამაშობდა. ამ პიროვნებათა თანამშრომლობა, იმედია, დროთა განმავლობაში კეთილ ნაყოფს გამოიღებს და ნიჭიერი ალაზნისპირელები ტალანტებით შეავსებენ ქართულ ფეხბურთს. ვალერი ყიზილაშვილის განმარტებით, სკოლის სრულყოფილი ამოქმედებისათვის მას გურჯაანის გამგებლის ალექსანდრე სირბილაშვილის და მისი მოადგილის თამაზ დულაშვილის თანადგომის იმედი აქვს. — „მომავალი სეზონიდან „ალაზანი“ სფფს ეგიდით გამართული ბავშვთა და ჭაბუკთა ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას. ნიჭიერი ბავშვები გვყავს და სკოლის განვითარების კარგი პერსპექტივაც ჩანს. დროთა განმავლობაში საფეხბურთო სკოლა „ალაზანი“ ალბათ პერსპექტიული ფეხბურთელებით შეავსებს რეგიონულ ლიგაში მოასპარეზე კლუბის გურჯაანის „ალაზანს“.

საბა ლომინაძე

## ფიფამ მსაჯები დაგვიმტკიცა

ქართველი მსაჯები, სეხნიები — ალექსანდრე შილაკაძე და ალექსანდრე მეშკოვი ფიფამ ფუტზალის, ჩვენებურად მინი-ფეხბურთის, ოფიციალურ მსაჯებად დაამტკიცა და ამიერიდან ისინი ფუტზალის ფიფას ეგიდით გამართულ საერთაშორისო ტურნირებს მოემსახურებიან. დიდ ფეხბურთში საერთაშორისო მატჩებს მთავარ არბიტრებად გაუძღვებიან სერგო კვარაცხელია და მერაბ მალალურაძე, ასისტენტებად კი 6 — გაბრიაძე, მიქელაძე, ჩიგოგიძე, დოლიძე, ელიკაშვილი და სამხარაძე იმსაჯებენ.

## მაინც რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი?

თქმა არ უნდა, ქართულ ფეხბურთს მდიდარი წარსული აქვს. საქართველოში დანერგილ სპორტის სახეობათა შორის იგი ყველაზე პოპულარული და მასობრივია. როგორც ეს არაერთ წყაროშია მითითებული, ფეხბურთი ჩვენში XIX საუკუნის ბოლოს გავრცელდა, ერთის მხრივ, დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპირო ნავსადგურებში, ხოლო, მეორე მხრივ, თბილისში.

ფეხბურთის ისტორია ჩვენში 1894 წლიდან იღებს სათავეს. მაშინ მეგრელებსა და გურულებს შორის ბათუმში არაერთი შეჯიბრება იმართებოდა ლელობურთში. როგორც გაზეთ "ივერიის" ქრონიკიორი იტყობინებოდა, ნავსადგურში რამდენიმე გემი იდგა. „ინგლისელი მეზღვაურები გამოვიდნენ ნაპირად და ბურთაობა რომ დაინახეს, ისე შეექმნათ იმათაც გული, რომ თვითონაც ჩაერივნენ: ისე თამაშობდნენ ისინი ბურთაობას, რომ ჩვენებურები გეგონებოდათ. ალტაცებაში იყვნენ ასეთი დროს გატარებით“. ასეთი შეხვედრები ჩამოსულ მეზღვაურებს და ადგილობრივ ლელობურთელებს შორის ხშირად იმართებოდა. სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი სიმონისძე ეგნატაშვილის მოგონებებიდან: „ბათუმში ჩამოვიდა ინგლისელთა ერთ-ერთი სამხედრო გემი. ინგლისის საკონსულოს მდივანმა, რომელიც ადგილობრივ გუნდში თამაშობდა, წინადადებით მიმართა ინგლისელებს ეთამაშათ ადგილობრივ ფეხბურთელებთან. შეჯიბრება მასპინძელთათვის სამწუხარო შედეგით დამთავრდა — 21:0. 1912 წლამდე ფეხბურთი სტიქიურ ხასიათს ატარებდა, შეჯიბრება უბრალო გაყოფით, არჩევანარადანით ეწყობოდა. ბურთს დასდევდნენ ჯგუფ-ჯგუფად და მეტწილად „უმისამართოდ“ ურტყამდნენ. შემდგომში ჩეხი გიმნასტის ვ. კოუბას ინიციატივით, ბათუმში ჩამოყალიბდა სპორტსაზოგადოება „სოკოლი“ და ფეხბურთის მოყვარულთა წრე, რომელსაც დაერქვა „ვოლნიე სოკოლა“. იმავე წელს ბათუმის გიმნაზიაში შეიქმნა ფეხბურთელთა მეორე გუნდი ე.წ. „სელექტედი“ (რჩეულნი)...“

დაახლოებით ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა ფოთში, სადაც პირველი საფეხბურთო გუნდი 1913 წელს ჩამოყალიბდა და რომლის სამართალმემკვიდრედ შეიძლება მივიჩნიოთ ამჟამად საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე „კოლხეთი-1913“. ცხადია, კოლხებს არც აფხაზეთში ჩამორჩნენ. 1908 წლის ზაფხულში, სოხუმის ცენტრში კოინდრით მოფარდაგებულ ერთ-ერთ მინდორზე, სადაც „სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში საგანგებოდ გამოწყობილი ახალგაზრდები ორად გაიყვნენ და დიდ მინდორზე ტყავის პატარა საგანს დაუწყს გორება“ (შ. ლარცულიანი, მწვანე მინდორი 50 წლისაა, — გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958, №57, გვ. 4).

და მაინც, ფეხბურთის გავრცელების „მთავარი ცენტრი თბილისი იყო. თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის 1896 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ... აქ ფეხბურთისათვის ყველა საჭირო ინვენტარი გააჩნდათ და პირობები ჰქონდათ. ტანვარჯიშის მასწავლებლად იყო ჩეხი ბოგდან პეტუჩეკი, რომელიც კარგად იცნობდა ფეხბურთს... 1906 წელს თბილისის „სოკოლის“ პრეზიდიუმის წევრის ადოლფ ელზენგერის თაოსნობით ჩამოყალიბდა „ბურთის ფეხით მოთამაშეთა“ პირველი გუნდი (მის მემკვიდრედ შეიძლება მივიჩნიოთ „შევარდენი-1906“, რომელიც ახლო წარსულში ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობდა“ იხ. ა. ცამციშვილის „ფეხბურთი საქართველოში“, 1960, გვ. 4-5).

**ასეთია ფაქტები, რომლებსაც ამ მოკლე ისტორიულ ექსკურსში შევეხეთ. რაც მოწმობს, რომ ფეხბურთი საქართველოში საუკუნეს ითვლის. იქნებ გამოგვეხმაურონ ქართველი ისტორიკოსები, მხარეთმცოდნეები და მოგვაწოდონ ფაქტობრივი მასალა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით? და მაინც, რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი?**

ჯემალ ჯიკაშვილი

## ზაურ გაბრიჩიძის ხსოვნის ტურნირი

თერჯოლაში გაიმართა აქაური ფეხბურთელთა გუნდის „საპოვნელას“ ყოფილი პრეზიდენტის ზაურ გაბრიჩიძის ხსოვნის ტურნირი 16 გუნდის მონაწილეობით.

ფინალში სოფელ გოდოგანისა და ალისუბნის ნაკრები გუნდების შეხვედრა გოდოგანელთა გამარჯვებით დამთავრდა.

ამ შეჯიბრების ორგანიზატორი იყო რაიონის სპორტკომიტეტი.

ჰენრი შარიძაძე

## წლები და ღვაწლი

# უშანგი ფურცელაძე – 45 წელიწადი საფეხბურთო მინდორზე

**დაიბადა თბილისში 1935 წელს. დაამთავრა მწვრთნელთა სკოლა 1961 წელს. იყო თეთრი წყაროს „გარისის", 1964-65 წლებში კი მცხეთის „არმაზის" უფროსი მწვრთნელი, 1967-69 წლებში გარდაბანში იმუშავა „შრომითი რეზერვების" უფროს მწვრთნელად, 1969-83 წლებში საქართველოს სპორტკომიტეტში მასობრივი ფეხბურთის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზეა, 1984-89 წლებში სპორტსაზოგადოება „შრომით რეზერვებში" ფეხბურთის ინსტრუქტორი იყო, 1992-98 წლებში სფფ-ს მსაჯთა კომიტეტის ინსპექტორია. 1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. მსაჯობდა 1955-90 წლებში, აქედან 1957-87 წლებში საკავშირო პირველობას, ითვლებოდა სსრ კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო ასისტენტად.**

● ***თქვენ მიუკერძოებელ, ობიექტურ მსაჯად გიცნობდნენ, ალბათ ამიტომაც შემორჩით მოედანზე მსაჯისთვის „საპენსიო ასაკამდე"...***

— მართლაც, იმსაჯო მთელი 45 წელიწადი, თანაც ისეთ წინააღმდეგობებით აღსავსე სპორტის სახეობაში, როგორიცაა ფეხბურთი, იოლი საქმე არ არის. იყო დრო, ყველა გადამწყვეტ და პრინციპულ მატჩზე მე მაგზავნიდნენ.

● ***ნუთუ, მთელი ეს წლები უკონფლიქტოდ გაატარეთ...***

— სერიოზული კონფლიქტი არ მქონია. მხოლოდ ერთხელ მოვყევი ჩხუბში.

● ***სად მოხდა ეს ამბავი?***

— სამტრედიაში, 60-იან წლებში.

● ***თქვენც მოგხვდათ?***

— სამწუხაროდ, მაგრამ ცოტა.

● ***ხომ არ გაიხსენებდით, რამ გამოიწვია ვნებათაღელვა.***

— სამტრედიელები ქუთაისის დინამოელებს მასპინძლობდნენ. ბოლო წუთზე ანგარიში იყო 1-1. სწორედ ამ დროს დავნიშნე 11-მეტრიანი სამტრედიელთა კარში. ამან გამოიწვია არეულობა.

● ***მოდით, ახლა პირველი ნაბიჯები გავიხსენოთ, როგორ დაუკავშირდით ფეხბურთს?***

— მოსწავლე ვიყავი 35-ე საფეხბურთო სკოლაში რომ ჩამრიცხეს. ოტია ჟორდანიას და ვიქტორ პანიუკოვის ჯგუფში მოვხვდი. მერე 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლაში გადავედი. აქვე გეტყვით, რატომღაც ფეხბურთის თამაშზე მეტად მსაჯობა მიტაცებდა. უფრო იმაზე ვოცნებობდი როდის ვიმსაჯებდი.

● ***მსაჯობაში თქვენი გამოჩენის საწყის წელს თუ გავიხსენებთ, ადრე აგიღიათ ხელში სასტვენი. ვინ დაგეხმარათ ოცნების ასრულებაში?***

— იყო ფეხბურთში ასეთი კაცი — კოლია კონდახსაზოვი. მან მიმიყვანა თბილისის ფეხბურთის ფედერაციასთან არსებულ სამსაჯო კურსებზე. იქ კონსტანტინე კრავჩენკო გახდა ჩემი „მოძღვარი". 19 წლისამ პირველად ვიმსაჯე თბილისის პირველობის მატჩი.

● ***შემდეგ....***

— შემდეგ იყო საქართველოს პირველობის II, I და უმაღლესი ლიგა.

● ***ვის გვერდით გიმსაჯიათ?***

— ოო, ეს ნამდვილად სასიამოვნოა გასახსენებლად. მიმსაჯია კარლო ყრუაშვილთან, ჟორა ბაქანიძესთან, გურამ აკობაშვილთან, ილია ბოჭორაძესთან, ტოფიკ ბახრამოვთან, ვალერი ლიპატოვთან, ვალერი ბასკაკოვთან, ვალერი ხოდინთან, ალექსანდრე ზუევთან, მიროსლავ ბალაკინთან ერთად.

● ***ცხადია, თქვენს თვალწინ მსაჯთა თაობები აღიზარდა. დღეს თუ ვინმე გეკითხებათ რჩევას, როგორც გამოცდილ სპეციალისტს?***

— თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ბევრი ახალგაზრდაა დაინტერესებული გაიზიაროს უფროსების გამოცდილება. დამერწმუნებით, ეს გასახარი ფაქტია.




*მარცხნიდან: გურამ გაბისკირია, ანატოლი მილჩენკო და უშანგი ფურცელაძე*

● ***ალბათ, ახალგაზრდა პერსპექტიული მსაჯების დასახელებაც არ გაგიჭირდებათ.***

— თვალყურს ვადევნებ, მომწონს და პერსპექტიულ მსაჯებად მივიჩნევ ლევან მიქელაძეს, კახაბერ მესხს, კობა გაბრიაძეს, გიორგი კიკაჩეიშვილს, ოთარ ხეცაძეს...

● ***ახლა რას საქმიანობთ?***

— უმუშევარი პენსიონერი ვარ. თუმცა, სფფ-ს სამსაჯო კომიტეტთან არ გამიწყვეტია ურთიერთობა და ზოგჯერ მატჩებზე მგზავნიან კომისრად.

● ***თქვენ, როგორც გამოცდილი და ვეტერანი სპეციალისტი, როგორ აფასებთ ჩვენში მსაჯობას?***

— სასიკეთო ცვლილებები მოხდა ხარისხობრივად. ახლა იმდენი მსაჯი აღარ არის, როგორც ადრე, სამაგიეროდ, დიდია ანაზღაურება.

● ***თქვენს დროს როგორი იყო ანაზღაურება?***

— თითქმის არაფერს ვიღებდით თუ არ ჩავთვლით 5 მანეთს შიდარესპუბლიკურ მატჩებზე. საკავშიროზე მთავარი მსაჯი 50 მანეთს იღებდა, 25-ს — გვერდითი მსაჯი.

● ***თქვენ ამ დღეებში 65 წელი შეგისრულდათ, გილოცავთ!***

— დიდი მადლობა.

ესაუბრა
**თ. თომაშვილი**

## ბლატერმა დი კანიოს საქციელი აღნიშნა

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა საგანგებო წერილით მიმართა ინგლისის „ვესტ ჰემის" იტალიელ ფორვარდ პაოლო დი კანიოს, სადაც ხაზი აქვს გასმული ფეხბურთელის კეთილშობილურ საქციელს, რომელიც პრემიერლიგის მატჩში გამოავლინა. იგი „ევერტონთან" შეხვედრაში ბურთით დარჩა მეტოქის კარის პირისპირ. მანამდე მეკარეს ფეხბურთელები განზრახ შეეტაკნენ, მაგრამ მსაჯმა წესების დარღვევა არ აღნიშნა. დი კანიომ ბურთი ხელში დაიჭირა და თამაში გააჩერა. „ფიფა აღფრთოვანებულია თქვენი რაინდული საქციელით, — წერს ბლატერი, — და სამომავლოდ FAIR PLAY-ს ჯილდოთი აღნიშნავს თქვენს დიდსულოვან ჟესტს".

უნდა ითქვას, რომ იტალიელი ფეხბურთელი აქამდე მეტად ექსპანსიური, არასპორტული საქციელით იყო განთქმული. შარშანდელ სეზონში მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო (10-თამაშიანი დისკვალიფიკაცია) სასჯელი მოიხადა.

## ციტატა

**ბუშინ,** ესპანურმა სპორტულმა გაზეთმა „მარკამ" მესამე გვერდზე დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და კიევის „დინამოს" ფორვარდის ***გიორგი დემეტრაძის*** ბასკეთის „რეალ-სოსიედადში" გადასვლას. ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის ეს კლუბი, რადაც უნდა დაუჯდეს, ცდილობს ამოვიდეს სატურნირო ცხრილის ფსკერიდან და ამ მიზნით უკრაინული კლუბიდან გადმოიყვანეს ქართველი ლეგიონერი. „20 დეკემბერს დემეტრაძემ ხელი მოაწერა 900-მილიონიან (ლაპარაკია პესეტზე. ეს თანხა დაახლოებით 5 მილიონ აშშ დოლარს უდრის — ***რედ.***) კონტრაქტზე, რომელიც იმოქმედებს 2004 წლის 30 ივნისამდე. დემეტრაძე, რომელიც დაიბადა 1976 წლის 26 სექტემბერს ტიფლისში (საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქი) გამოდიოდა თბილისის „დინამოში", ჰოლანდიის „ფეიენოორდში", ვლადიკავკაზის „ალანიაში", ბოლოს კიევის „დინამოში" მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკისთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მატჩებშიც მონაწილეობდა".



გაზეთში მოყვანილია „სოსიედადის" ფეხბურთელების — ედგარას იანკაუსკასის, დიმიტრი ხოხლოვის, ფუენტესის სიტყვები, რომლებიც იმედს გამოთქვამენ, რომ დემეტრაძის ბასკურ კლუბში გადასვლა უახლოეს ხანში სასიკეთოდ დაეტყობა გუნდის შედეგებს.

# ქართველი ექიმები კვალიფიკაციას იმაღლებენ

19-20 დეკემბერს თბილისში უეფამ სფფ-ს მოთხოვნის ე.წ. მედიცინის „პროგრეს-კურსები" ჩაატარა. დანიის საფეხბურთო კავშირის და ოლიმპიური კომიტეტის მთავარი ექიმის, დოქტორ მოგენს კროიცფელდის ხელმძღვანელობით. დანიელი ექიმი ათ წელზე მეტია უეფას სამედიცინო კომიტეტის წევრია და სხვათა შორის დანიის სამეფო ბალეტის კონსულტანტიცაა. მსგავსი კურსები მრავალ ქვეყანაში ჩაუტარებია, მათ შორის, ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, მოლდოვაში და უკრაინაში.

პროგრეს-კურსები სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გახსნეს. ***დღის წესრიგში შემდეგი ლექციების წაკითხვა იდგა:***

1. კუნთების ტრავმა.
2. მუხლის სახსრის ტრავმა.
3. კოჭის სახსრის ტრავმა, გადახვევის ტექნოლოგია.
4. დიაგნოსტიკის პრობლემები.
5. ფეხბურთი და ბავშვები.
6. ფარმაკოლოგია ფეხბურთში.
7. დოპინგ-კონტროლის საკითხები.

პროგრეს-კურსებში უმაღლესი და პირველი ლიგის შემდეგმა ექიმებმა და მასაჟისტებმა მიიღეს მონაწილეობა. დ. მურღულია (ტორპედო), რ. ხვადაგიანი (ვიტ ჯორჯია), დ. ზაალიშვილი (თბილისის დინამო), თ. ჯაში (ბათუმი), ნ. ქვანია (კოლხეთი-1913), გ. სუკიასოვი (მერანი-91), ზ. ლომინაძე (ლოკომოტივი), შ. დეკანოზიშვილი (იბერია), ვ. კუძიევი (თსუ), რ. კუპრეიშვილი (გორდა), დ. სომხიშვილი (დილა), ვ. სამხარაძე (სიონი), ნ. სხირტლაძე (თბილისი), მ. იოსელიანი (სამგურალი), ზ. გოგლიჩიძე (მეტალურგი), თ. ფირცხალაიშვილი (გურია), ნ. ლონლაძე (ივერია), . ზ. ჯანიკაშვილი (მილანი), კ. ქირია (კოლხეთი, ხობი), ვ. ჟადანი (თორი), ს. გაბისონია (დინამო ზუგდიდი). მრავლად იყვნენ ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის ექიმებიც: ლ. ეგორევა (ირაო), ვ. მალაციძე (შევარდენი), გ. გორშკოვი (საბურთალო), მ. ჭეიშვილი (ბერი), დ. ბალხამიშვილი (იბერია), მ. ოსეფაიშვილი (35-ე სკოლა), ს. გერასიმოვი (მერანი-91), ტ. ნიშნიანიძე (სიონი), ცნობილი ტრავმატოლოგები: ვ. გაფრინდაშვილი, ლ. ნაჭყებია, პ. მეხრიშვილი, მოყვარულთა ნაკრების ექიმი დ. მამუჩიშვილი, 18 წლამდელთა ნაკრების ექიმი დ. იოსელიანი, ახალგახსნილი სამედიცინო ცენტრის „ნეკოს" მთავარი ექიმი ვ. ახალკაცი. „საქართველოს ფეხბურთის" ფედერაციამ გაითვალისწინა რაგბისა და ჭიდაობის ფედერაციების პრეზიდენტთა თხოვნა და მათი ექიმები ბ. ჩადუნელი, ბ. აბრამიშვილი და ზ. კახაბრიშვილიც მიიწვია პროგრეს-კურსებზე. კურსებს ესწრებოდა ცნობილი მასაჟისტი ა. გაბიტაშვილიც.

მახსოვს, კოვერჩიანოს საქვეყნოდ ცნობილ მწვრთნელთა სკოლაში 15 ქართველი მწვრთნელის მივლინების შემდეგ ერთი-ორმა მათგანმა თქვა: ახალი არაფერი უთქვამთ, ყველაფერი ვიცითო (!). საბედნიეროდ, ჩვენი ექიმები სრული მობილიზაციითა და პასუხისმგებლობით შეხვდნენ კურსებს და ისე დასეტყვეს კითხვებით დოქტორი კროიცფელდი, რომ ამ უკანასკნელმა ღამეც კი გაათია, არც სადილზე ჩამოვიდა და არც ერთი კითხვა არ დატოვა ამომწურავი პასუხის გარეშე. კურსების შემდეგ ბანკეტზე დოქტორმა კროიცფელდმა მითხრა: არ ველოდი ქართველი ექიმების ასეთ მაღალ პროფესიულ დონეს, სომხეთსა და აზერბაიჯანში არც ერთი კითხვა არ დაუსვამთ, აქ კი პასუხებს ველარ ავუდიოდიო. მართლა დიდოსტატური იყო ერთ-ერთ მონაწილეზე პრაქტიკულად განხორციელებული კოჭის „მტკივანი" სახსრის გადახვევა, კუნთის გახურება, მუხლის სახსრის მასაჟი და სხვა მანიპულაციები, რომელსაც დოქტორი კროიცფელდი პირადად უჩვენებდა დამსწრეთ.

ალსანიშნავია ცნობილი მალამოს „ფიტომალის" მწარმოებელთა ქველმოქმედებაც. მათ ლექციების მსმენელებს უფასოდ დაურიგეს „ფიტომალის" მალამო, რამაც ძალზე გაახარა ჩვენი ექიმები.

დასასრულ, დოქტორმა კროიცფელდმა აღნიშნა, საქართველოში მეც ბევრი ვისწავლე, თანაც უზომოდ კმაყოფილი ვარ ასეთი მაღალი დონის სპეციალისტებს რომ გავუზიარე გამოცდილება, თუკი კიდევ მომიწვევთ საქართველოში, სიამოვნებით ჩამოვალ და ბოლომდე დავიხარჯებიო...

ევრო-1992 გმირების პირადი ექიმი არ ტყუოდა. ქართველმა ექიმებმაც ბევრი ისწავლეს და დოქტორ კროიცფელდსაც სრული მობილიზება დასჭირდა.

**მ. კვარაცხელია**



***დოქტორი კროიცფელდი პრაქტიკულ მუშაობას ატარებს***



***ორდღიანი ლექციების შემდეგ უეფას დანიელმა მოხელემ ქართველ ექიმებს უეფას სერთიფიკატები გადასცა. კროიცფელდი ეროვნულ ნაკრების ექიმს დიმიტრი ზაალიშვილს მოწმობას აძლევს. მარჯვნით — სფფ-ს კურატორი ამ კურსებზე გია ისიანი***

# ფიგუ - ევროპის რჩეული!

**51 ქვეყნის ჟურნალისტები მონაწილეობდნენ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ჩატარებულ რეფერენდუმში, რომელსაც ტრადიციულად ატარებს „France Football"-ი.**


ლუიშ ფიგუ


ზინედინ ზიდანი



ანდრეი შევჩენკო

1. ლუიშ ფიგუ (პორტუგალია, „რეალი") - 197 ქულა
2. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, „იუვენტუსი") - 181
3. ანდრეი შევჩენკო (უკრაინა, „მილანი") - 85
4. ტიერი ანრი (საფრანგეთი „არსენალი" - 57
5-6. ალესანდრო ნესტა (იტალია, „ლაციო") და რივალდო (ბრაზილია, „ბარსელონა") - 39-39.
7. გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა, „რომა") - 26
8. გაისკა მენდიეტა (ესპანეთი, „ვალენსია") - 22
9. რაული (ესპანეთი, „რეალი") - 18
10-11. დევიდ ბეკჰემი (ინგლისი, „მანჩესტერი") და პაოლო მალდინი (იტალია, „მილანი") - 10-10.
12-13. ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი „მანჩესტერი") და ზლატკო ზახოვიჩი (სლოვენია, „ვალენსია") - 8-8.
14-16. რობერტო კარლოსი (ბრაზილია, „რეალი"), ფრანჩესკო ტოლდო (იტალია, „ფიორენტინა") და ფრანჩესკო ტოტი (იტალია, „რომა") - 7-7.
17. პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია, „ბარსელონა") - 6
18-21. ედგარ დავიდსი (ჰოლანდია, „იუვენტუსი"), ჟარდელი (ბრაზილია, „გალათასარაი"), ჰაკან შუქური (თურქეთი, „ინტერი") და ფერნანდო რედონდო (არგენტინა, „მილანი") - 5-5.
22-23. პაველ ნედვედი (ჩეხეთი, „ლაციო") და დევიდ ტრეზეგე (საფრანგეთი, „იუვენტუსი") - 4-4.
24-26. მარსელ დესაი (საფრანგეთი, „ჩელსი"), ოლივერ კანი (გერმანია, „ბაიერნი") და რუი კოშტა (პორტუგალია, „ფიორენტინა") - 2-2.
27-30. ლორან ბლანი (საფრანგეთი, „ინტერი"), ვერონი (არგენტინა, „ლაციო"), როი კინი (ირლანდია, „მანჩესტერი") და კლაუდიო ლოპესი (არგენტინა, „ლაციო) - 1-1.

იმ უიღბლო ფეხბურთელების სიასაც გაგაცნობთ, რომლებიც „France Football"-მა წინასწარ შესაძლო ლაურეატების სიაში რომ ჩართო, მაგრამ საბოლოოდ უქულოდ დარჩნენ: სონი ანდერსონი, ჟოსლენ ანგლომა, ნიკოლა ანელკა, დენის ბერგკამპი, პატრიკ ვიეირა, სილვენ ვილტორდი, მარსელო გალიარდო, რაიან გიგზი, ნუნუ გომეში, დიდიე დეშამი, ბუდევეინ ზენდენი, ფილიპო ინძაგი, ერნან კრესპო, პატრიკ მბომა, სავო მილოშევიჩი, ჟერემი ნჟიტპი, ალვარო რეკობა, მარკო სიმონე, პოლ სქოულზი, იაპ სტამი.


ტიერი ანრი


ალესანდრო ნესტა


რივალდო


ბატისტუტა


მენდიეტა



რაული


ბექჰემი

## „ჯანაშია ერთ დღეში სუქდება და მერე, სამ თვეში წონას იკლებს"

**ნახევარი წელია, რაც მოსკოვში, ჩერკიზოვოში მიმდინარეობს სტადიონისა და ს.კ. „ლოკომოტივის" ბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. კლუბის პრეზიდენტს ვალერი ფილატოვს სხვაგან სად შევხვდებოდი? ცხადია, პირველი კითხვაც სარეკონსტრუქციო სამაშაოებს ეხებოდა.**

— გაზაფხულზე დავიწყეთ და ნახევარზე მეტი საქმე უკვე მოვითავეთ, ვფიქრობთ, გაისად, 1 ივლისისათვის სტადიონზეც, ბაზაზეც ყველა სამუშაო დამთავრებული იქნება.

● ***კიდევ რითი ხართ ამ დღეებში დაკავებული?***

— გუნდის მთავარ მწვრთნელ იური სიომინთან ერთად ვიხილავთ სხვადასხვა სატრანსფერო საკითხს, კონტრაქტებსაც ხელახლა ვაფორმებთ.

● ***ყველას გაუგრძელეთ ხელშეკრულებები თუ ვინმე ტრანსფერზეც დააყენეთ?***

— ფაქტობრივად, საგაისო კონტრაქტები ყველასთან გავაფორმეთ, დარჩა მხოლოდ გასარკვევი მეკარე ნიგმატულინის საკითხი, შეიძლება იგი რომელიმე საზღვარგარეთულ კლუბში გადავიდეს.

● ***ახალწვეულები თუ გყავთ გუნდში?***

— კი, აბა, ისეთი თავდასხმის ხაზით შარშანდელ სეზონში რომ გვყავდა, შორს ვერ წავალთ. ცხადია, რამდენიმე ფორვარდს დავიმატებთ.

● ***კონკრეტულად, რომელი მოთამაშეებით ხართ უკმაყოფილო?***

— გიმეორებთ, ყველა წინახაზელმა გაგვიცრუა იმედები. ჯანაშია ერთ დღეში სუქდება და მერე სამი თვე წონის დაკლებას უნდება. მეც და სიომინსაც ზაზას ასეთი არაპროფესიული დამოკიდებულება საქმისადმი დიდად გვტკენს გულს. იმედი გვაქვს, ბოლოს და ბოლოს ფეხბურთელი შეიგნებს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება — ფეხბურთის გულისათვის ან უნდა დათმო მაცდუნებელი დროსტარება, ან თავი დაანებო სპორტს. ეს მარტო ჯანაშიას არ ეხება — ასევე უკმაყოფილონი ვართ ტერიოხინისა და ბულიკინის გამოსვლით: მათ ჯამში თითზე ჩამოსათვლელი გოლები გაიტანეს. სამწუხაროდ, ვერ გვიმართლებს პიმენოვიც — იგი ტრავმებმა დატანჯა. გამოდის რომ, ფორვარდები ბევრი გვყავს, ყველაზე მეტი გოლი კი ნახევარმცველმა ლოსკოვმა გაიტანა. სამწუხაროდ, მას მოაკლდა კარგი ასისტენტი — სმერტინი საფრანგეთის კლუბ „ბორდოში" გადავიდა.


ზაზა ჯანაშია

● ***წინასასეზონო შეკრებას სად გაივლით?***

— ჯერ იტალიაში გავემგზავრებით ორი კვირით, მერე კვიპროსში გავაგრძელებთ მზადებას.

ესაუბრა
**არკადი სმირნოვი.**
„ლელოს" საკ. კორ. მოსკოვი.

## ფოფხაძემ ხელშეკრულება გააგრძელა

სამარის „კრილია სოვეტოვის" მცველმა ფოფხაძემ 2001 წლამდე გააგრძელა კლუბთან ხელშეკრულება. იგი კარგა ხანს იყო გუნდის წამყვანი მოთამაშე და კაპიტანიც. მაგრამ შარშანდელი სეზონი, როგორღაც არ გამოუვიდა. კლუბს, ერთი პირობა გამოცდილი მოთამაშის ნიჟეგოროდის „ლოკომოტივისთვის" ქირით მიცემა უნდოდა, მაგრამ ახლა მას აქვს შანსი ფეხი მოიკიდოს „კრილია სოვეტოვში".

## ნიჭიერი მასიმო ამბროზინი

„მილანის" ძირითად შემადგენლობაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებს ნიჭიერი ნახევარმცველი მასიმო ამბროზინი.

დაიბადა 1977 წლის 29 მაისს და ახალგაზრდობის მიუხედავად უკვე სამ კლუბში მოასწრო თამაში. დაიწყო მოკრძალებულ „ჩეზანაში" 1992 წელს, 1995 წლის 11 მაისს კი „მილანში" ჰქონდა დებიუტი. ახლა მას უკვე დიდ მიღწევებზე შეეძლო ეოცნება, მაგრამ ეს პირველი წელი მაინცდამაინც წარმატებული არ გამოდგა. სექტემბრიდან მოყოლებული ძირითად შემადგენლობაში სულ 11 მატჩი ითამაშა, შემდეგ კი სათანადო პრაქტიკის შესაძენად იჯარის წესით დაუთმეს „ვიჩენცას". „მილანში" დაბრუნების შემდეგ უკვე დამკვიდრდა ძირითად შემადგენლობაში: ჩინებული ტექნიკისა და ტაქტიკური ნიჭიერების ადამიანს ერთი სერიოზული ნაკლიც აქვს — სუსტი შედეგიანობა, თუმცა ამ მხრივ ამ სეზონში უკეთესობა შეემჩნევა. თუ ეს ხარვეზი გამოასწორა... საინტერესოა, როცა სეზონის დამთავრების შემდეგ შვებულებაში მიდის, ამბროზინიმ კარგად იცის, როგორ უნდა დაისვენოს და აღიდგინოს ენერგია. საამისოდ იგი პოლინეზიის კუნძულებზე მიემგზავრება. ბოლო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. რაც შეეხება იტალიის ეროვნულ ნაკრებს, აქ ამბროზინის დებიუტი 1999 წლის 28 აპრილს ჰქონდა ხორვატებთან ამხანაგურ მატჩში (0-0), 2001 წელს კი უკვე არაერთ შეხვედრაში უნდა მოუხდეს მონაწილეობა.

## ევროპის სიმბოლური ნაკრები

ევროპული სპორტული გამოცემების გაერთიანებამ (European Sports Magazines), რომელშიც შედის გერმანული Kicker, პორტუგალიური A Bola, ესპანური Don Balon, ბელგიური Foot Magazine, ფრანგული France Football, იტალიური La Gazzetta dello Sport, ჰოლანდიური Voetbal international და ინგლისური World Soccer, გამოაქვეყნა ევროპის ფეხბურთელთათვის სიმბოლური ნაკრები, რომლის ნოემბრის ვარიანტი ასე გამოიყურება: მეკარე რობინსონი, („ლიდსი"), მცველები: კაფუ („რომა"), ნაიბეტი („დეპორტივო"), ფერდინანდი („ვალენსია"), ჰავბეკები: მენდიეტა („ვალენსია"), ტიტოვი („სპარტაკი"), მიკუ („პარმა"), თავდამსხმელები: შერინგემი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ბატისტუტა („რომა"), სანდი („შალკე").

# „ყრუმუნჯი“ მეკარე თვითმკვლელს ჰგავს

**მეკარე მაქსიმ ლევიცკი, წლის დასაწყისში ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ გამოდიოდა და მეტად პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. მისი გადაბირება უნდოდა რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელობას, რომელსაც მაინცდამაინც საიმედო მეკარეები არ ჰყავს. გადაბირება იმიტომ, რომ ლევიცკი უკრაინელია, თუმცა ამ ქვეყნის ნაკრებში ჯერ ნათამაშევი არა ჰქონდა მატჩი არც ერთ დონეზე, ასე, რომ...**


მაქსიმ ლევიცკი

უკრაინელებმა დროზე იგრძნეს საფრთხე (მათი მეკარეებიც ხომ მაინცდამაინც არ ბრწყინავენ), ლევიცკი ერთხელ ათამაშეს და (რაც ახლა მოქმედი კანონებით იმას ნიშნავს, რომ...) სამუდამოდ დაისაკუთრეს. ისიც ცხადი იყო, ასეთ ნიჭიერ გოლკიპერს „ჩერნომორეცში“ არავინ გააჩერებდა და ლევიცკი ფრანგულ „სენტ-ეტიენში“ აღმოჩნდა. მასთან ერთად ამ სახელოვან ფრანგულ კლუბში (რა ვუყოთ, რომ დღეს არაფრით გამოირჩევა) გადავიდა რუსეთის ნაკრების თავდამსხმელი ალექსანდრ პანოვი, რომელიც ორიოდე წლის წინათ დიდი სისწრაფის გამო იმედებს იძლეოდა და ერთხელ, როგორც კარგად გახსოვთ, თვით საფრანგეთის ნაკრებიც კი იმსხვერპლა.

გავეცნოთ რამდენიმე ნაწყვეტს ლევიცკის ბოლო ინტერვიუდან:

● ***სენტ-ეტიენის რომელ რაიონში ცხოვრობთ?***

— საავადმყოფო „ბენელიფის“ გადაღმა.

● ***ამას იმიტომ ამბობთ, რომ უკვე მოგიხდათ იქ ყოფნა?***

— მომიხდა და აღარ მინდა იქ ხელმეორედ აღმოვჩნდე. იმის მიუხედავად, რომ ის ჩვენს საავადმყოფოებთან რა შესადარებელია.

● ***მეკარეობა, რა თქმა უნდა, სახიფათო პროფესიაა. მაგრამ თქვენ მაინც ბედი არა გწყალობთ — ხან რა გემართებათ და ხან — რა.***

— რას მიქვია, ბედი არ მწყალობს, თუკი ჩემი „მშრალი“ სერია „ჩერნომორეცში“ 809 თუ 810 წუთს გრძელდებოდა, მთლად ზუსტად არ მახსოვს.

● ***შეგიძლიათ ამნაირი სერია საფრანგეთშიც გაიმეოროთ?***

— ამაზე ახლა მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება. ბევრ გოლს ვუშვებთ. ახალმა მწვრთნელმა, დიდი ავტორიტეტის მქონე სპეციალისტმა ჯონ ტოშაკმა შემთხვევით როდი თქვა თამაშზე მცველების ერთ ხაზზე განლაგებით ლიბეროს რომ იყენებს.

● ***ამ გამოჩენილმა სპეციალისტმა 6 წლის წინათ მოსკოვის „სპარტაკიდან“ სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადში“ ვალერი კარპინი მიიწვია. როცა ტოშაკმა „რეალ-სოსიედადი“ დატოვა, სულ ცოტა ხანში ამ კლუბისაგან ნანგრევებიღა დარჩა. თქვენ რომ ამის შესახებ მწვრთნელს უთხრათ, უელსელის სიმპათიები გარანტირებული გექნებათ.***

— შეიძლება ამის თქმა ფრანგულად კი მოვახერხო, მან ეს ენა ჩემსავით სუსტად იცის და მშობლიურ ინგლისურზე ლაპარაკობს. მე კი იმის გამო, რომ ყოველწლიურად ფრანგებთან მიხდება ურთიერთობა, ის ცოტაოდენი ინგლისურიც კი დამავიწყდა, ამ ნახევარი წლის წინათ რომ ვიცოდი.

● ***თარჯიმანი თუ გყავთ?***

— მყავს, მაგრამ ამ ცოტა ხანში ან მასწავლებელთან ვიმუშავებ, ან ფრანგულის კურსებზე ვივლი. ენის ცოდნაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული არა მარტო ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ მეკარის კარიერაშიც.

● ***დიახ, ეს განსაკუთრებით მეკარეს ეხება. „ყრუმუნჯი“ მეკარე თვითმკვლელს ჰგავს.***

— სავსებით გეთანხმებით. მაგრამ უკვე შევისწავლე მთელი საფეხბურთო სლენგი და იოლად ვამყარებ ურთიერთობას პარტნიორებთან. ყველაფერს, რასაც თამაშში ვუყარნახებ, ესმით კიდეც. ახლა ისე აღარ არის საქმე, დასაწყისში რომ იყო.

● ***„სენტ-ეტიენში“ თამაში პანოვთან ერთად დაიწყეთ, მაგრამ ამას წინათ იგი „ლოზანას“ დაუთმეს. განა ფრანგებს დაავიწყდათ, როგორი გადასარევი გოლი გაუტანა მან მსოფლიო ჩემპიონებს სტად დე ფრანსზე“?***

— საწყენია, რომ იმ სტადიონებზე არ ვთამაშობთ. „სტად დე ფრანსი“ იღბლიანია პანოვისათვის, იქნებ თავისი ტრიუმფი გაემეორებინა.

● ***და მაინც აგვიხსენით, რატომ გაუშვეს შვეიცარიაში?***

— ჩვენთან ბევრი ლეგიონერია იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ევროკავშირში არ არიან გაერთიანებულები. ბრაზილიელები ალოიზიუ და ალექსი, მე და პანოვი, პოლიტ კოტ'დ'ივუარიდან. ამიტომაც გადასცეს პანოვი იჯარით „ლოზანას“.

● ***საწყენია, რომ სპილოს ძვლის ნაპირს ფეხბურთელმა კლუბი დაატოვებინა რუსეთის ნაკრების ფეხბურთელს. ვინ წარმოიდგენდა ამას ათი წლის წინათ.***

— განა ათი წლის წინათ წარმოვიდგენდი, რომ იმ კლუბის მეკარე გავხდებოდი, საიდანაც დაიწყო მიშელ პლატინის დიდებული კარიერა? პლატინი სენტ-ეტიენში დღემდე ახსოვთ, მას აღტაცებით იგონებენ.

● ***ფრანგები თქვენს სტადიონზე აღარ უშვებენ მწვანე ქოჩრიან მამლებს? ასე იყო 1984 წელს ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთ-იუგოსლავიის მატჩში, როცა პლატინიმ სამი არაჩვეულებრივი გოლი გაიტანა.***

— მამლებს არ უშვებენ, მაგრამ სტადიონზე გამოფენილია იმ 9 ქვეყნის დროშები, რომლის ფეხბურთელებიც „სენტ-ეტიენში“ თამაშობენ.

● ***რომელ ჩემპიონატს უფრო მძიმედ შეეჩვიეთ: რუსეთისას უკრაინულის შემდეგ თუ საფრანგეთისას რუსეთის შემდეგ?***

— საფრანგეთის ჩემპიონატში უფრო ძნელია ადაპტაცია. იქ სულ სხვანაირ ფეხბურთს თამაშობენ — ბურთს მეტ კონტროლს უწევენ და ძირითადად მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის იმედი აქვთ: რაც შეეხება მაღალი კლასის შემსრულებლებს, ასეთი ფრანგულ კლუბებში ბევრია.

● ***მოგწონთ საფრანგეთი?***

— რომ არ მომწონდეს, არც ჩამოვიდოდი.

● ***დიახ, მაგრამ თქვენ ხომ მოსკოვის „სპარტაკი“ გიწვევდათ, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გამოდის. გული არ გწყდებათ?***

— არა. საფრანგეთი პირველი ნახვით შევიყვარე. გარდა ამისა, როგორც ამბობს პანოვი, აქ თითოეული კალენდარული მატჩი ევროტურნირისას ჰგავს. მჯერა ბედისწერისა, რახან „სენტ-ეტიენში“ ვთამაშობ, ბედს ასე ნდომებია.

● ***ხომ არ გეშინოდათ, რომ სხვა ევროპული კლუბი უკვე აღარ მიგიწვევდათ?***

— ასეთი საფრთხეც იყო. უკვე 28 წელი შემისრულდა.

● ***იცით? სენტ-ეტიენთან არის ადგილი, სადაც ფრანგებმა „სამი მუშკეტერის“ პირველი კინოვარიანტი გადაიღეს.***

— ძალიან საინტერესოა. აუცილებლად დავათვალიერებ.

● ***როგორც უკრაინის ნაკრების მეკარეს, ამ გუნდში სულ ხუთი წუთი გაქვთ ნათამაშევი — „უემბლიზე“ ინგლისელების წინააღმდეგ. მაგრამ განა არ შეგიძლიათ უკრაინის ნაკრებში მთელი მატჩი ითამაშოთ?***

— შემეძლო. მაგრამ დიდად საწყენია, რომ, როცა უკრაინა პოლონეთს ხვდებოდა, შოვკოვსკიმ ტრავმის შემდეგ ვერ შეძლო კარგად თამაში, მე კი ამ დროს საავადმყოფოში აღმოვჩნდი.

● ***როგორი ურთიერთობა გაქვთ შოვკოვსკისთან?***

— შოვკოვსკისთანაც და კერნოზენკოსთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. რა გვაქვს, ბოლოს და ბოლოს, გასაყოფი! ვინ უნდა ითამაშოს, ამას ჩვენ კი არა, მწვრთნელები სწყვეტენ.

მოამზადა
ბივი თორელმა

## ედუ „ალანიაში“ ბრუნდება

**ბრაზილიელი თავდამსხმელი ედუ ადრე წარმატებით თამაშობდა ვლადიკავკაზის „ალანიაში“, მაგრამ შემდეგ სამარის „კრილია სოვეტოვში“ გადასვლა ამჯობინა. ახლა იგი „ალანიაში“ ბრუნდება, რომლის შეკრებაზე მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ ავერიანოვის აზრით, იქნებიან ხორვატიის, ჩეხეთის, სლოვაკიისა და რუმინეთის ლეგიონერები.**

## რონალდინიო – პსჟ-ში

20 წლის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რონალდინიომ მოაწერა ხელი „პარ სენ-ჟერმენთან“. გარიგების ფასი ძალიან მაღალია, დაახლოებით 50 მილიონი დოლარი. ჭაბუკმა ფეხბურთელმა სახელი გაითქვა კლუბში და ბრაზილიის ნაკრებში გამოსვლითაც. პარიზულ კლუბში იგი შეუერთდა თანამემამულე კრისტიანს, რომელიც უკვე კარგა ხანია გამოირჩევა პსჟ-ში.

## შმაიხელს კინაღამ სცემეს

**ლისაბონის „სპორტინგის“ გულშემატკივრებმა ერთ-ერთ ვარჯიშში მოინდომეს ფიზიკურად გასწორებოდნენ განთქმულ დანიელ მეკარე პეტერ შმაიხელს, რომელიც, მათი აზრით, ცუდად თამაშობს ქვეყნის ჩემპიონატში.**

**როცა შმაიხელის დარტყმული ბურთი ერთ-ერთ გულშემატკივარს მოხვდა და მან ბოდიში არ მოიხადა, მას ეცნენ, მაგრამ თანაგუნდელებმა დაიცვეს მეკარე.**

## „უსაქმურობამ დამღალა“

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ემანუილ პეტი აცხადებს, რომ კარგავს ყოველგვარ ინტერესს ფეხბურთისადმი. ამის მიზეზია მისი, რომ იტყვიან, ათასში ერთხელ გამოჩენა „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში.

— უკვე 5 თვე გავიდა და ვერ გავიგე, რატომ გადმომიყვანა „ბარსელონამ“ „არსენალიდან“. დავკარგე ინტერესი, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ დაშავებული ვარ და არ შემიძლია თამაში, მაშინ, როცა სრულიად ჯანმრთელი ვარ.

ამის მიუხედავად პეტი ჯერჯერობით არ აპირებს „ბარსელონის“ დატოვებას.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ბუკმეკერებმა „მანჩესტერ იუნაიტედი“ უკვე გამოაცხადეს ჩემპიონად

### ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ახლა ერთადერთია ხუთ ძირითად ევროპულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის, რომელმაც უკვე მოახერხა საკმაოდ ჩამოეტოვებინა უახლოესი მეტოქეები. ამან ბუკმეკერებს საშუალება მისცა ახლა, როცა პირველი წრეც კი არ დამთავრებულა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ უკვე გამოეცხადებინათ ჩემპიონად!

XII ტურის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ლონდონის „არსენალი“ 27-27 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ, თუმცა მანჩესტერელებს ბურთების გაცილებით უკეთესი სხვაობა ჰქონდათ (33-9, ლონდონელებს კი 23-10). XIII ტურში „მანჩესტერ იუნაიტედმა“, მართალია დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგო მიდლსბროს – 2-1.


ბურთთანაა «მიუს» მცველი ჰენინგ ბერგი

საინტერესოა, რომ 62-ე წუთამდე ლიდერი აგებდა, მაგრამ შემდეგ ჯერ ნიკი ბატიმ, შემდეგ კი ამ სეზონში ძალიან კარგად მოთამაშე ტედი შერინგემმა, მაინც გამოსტაცეს სამი ქულა მეტოქეს. „არსენალიც“ საკუთარ მინდორზე თამაშობდა, მაგრამ ვერაფერს გახდა აუტსაიდერ „დერბი ქაუნთისთან“.

„არსენალი“ ლიდერს რომ ჩამორჩა, როგორღაც მოეშვა, ჯერ იყო და ჩემპიონთა ლიგაში მძიმე მარცხი იგემა (0-3) დონეცკის „შახტართან“, წააგო ქვეყნის პირველობის მატჩი „ევერტონთან“ – 0-2. გამანადგურებელი ანგარიშით – 1-4 დამარცხდა ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვში „სპარტაკთან“. ამით წაგებების სერია არ დამთავრებულა. XV ტურში „მეთოფეები“ კვლავ დამარცხდნენ. ამჯერად ლიდსში „იუნაიტედთან“ – 0-1. ეს ერთადერთი გოლი დაკურმა გაიტანა.

ახლა, როცა „არსენალმა“ ისევ ამოისუნთქა, რა თქმა უნდა, იგი არაფერზე იღებს ხელს. ჯერ სად არის სეზონის ფინიშამდე, ისე რომ, არსენ ვენგერი ჩემპიონატშიც წარმატებით აპირებს თამაშს და ჩემპიონთა ლიგაშიც. ამასთან, მიმომხილველების აზრით, იგი ვალდებულია თანდათანობით გადაახალისოს შემადგენლობა... ვეტერანმა მეკარემ, 37 წლის დევიდ სიმენმა ტრავმის გამო უკვე ბევრი მატჩი გამოტოვა. იგი საკმაოდ საიმედო ავსტრიელმა, ალექს მანინგერმა (დაიბ. 1977 წ.) შეცვალა. დაცვაში თამაში პირდაპირ ავტომატიზმამდეა მიყვანილი, მაგრამ ვენგერი, ცხადია, ფიქრობს ამ ხაზის ფეხბურთელების ასაკზეც: ლი დიქსონი 36 წლისაა, მარტინ კიოუნი და ტონი ადამსი 34-34 წლისა, არც ოლეგ ლუჟნია ახალგაზრდა (1968). ექსპერტები ფიქრობენ, რომ საჭიროა უფრო ახალგაზრდა მცველების დაწინაურება, თუმცა სად ნახავთ ისეთ თავდადებულ ფეხბურთელს, როგორიც ადამსია. იმასაც ამბობენ, რომ ვენგერს ძალიან უჭირს გუნდიდან ვეტერანების გაშვება, თუმცა ხომ აიღო ხელი იან რაიტსა და პოლ მერსონზე.

ვენგერს დიდი არჩევანი აქვს შუა ხაზზე, სადაც ჰყავს ფრანგები პატრიკ ვიეირა, ჟილ გრიმანდი და რობერ პირესი, ფრედერიკ იუნგბერგი (შვეცია), კამერუნელი ლორან კტამე მაიერი, რეი პერლორი, რომელიც ინგლისის ნაკრებში თამაშობს. ამჟამად ძალიან აქებენ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს საყრდენ ნახევარმცველად მიჩნეულ ვიეირას. იგი მეტად სწრაფი და ტექნიკურია. ფიზიკურად ხომ მეტისმეტად ძლიერი და ძალიან შეუპოვარი. ის კია, რომ დიდი ემოციურობის, უფრო ზუსტად კი თავშეუკავებლობის გამო ხშირად ატოვებინებენ მინდორს. რაც შეეხება თავდასხმას, აქ ოთხი პირველხარისხოვანი ოსტატია. დენის ბერხკამპი (1969), რომელიც, ეტყობა, მალე ვეტერანადაც ჩაითვლება, სილვენ ვილტორი (1974), ნვანკო კანუ (1976) და არსენ ვენგერის საყვარელი ფეხბურთელი ტიერი ანრი (1977). ანრი ამ სეზონში პირდაპირ ბრწყინვალედ თამაშობს და სწორედ მის მიერ მიწაზე დაუშვებლად, 22 მეტრიდან გატანილმა ბურთმა მოუტანა მოგება გუნდს პრინციპულ შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედთან“.

რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს, იგი ბუკმეკერებისაგან განსხვავებით, სულაც არა თვლის, რომ ჩემპიონობა ჯიბეში უდევს. არსენ ვენგერის მსგავსად, იგი აპირებს ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც, ცდილობს, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს წამყვანი ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობა, ბევრ მატჩში მათ ახალგაზრდებით ცვლის. ერთ-ერთ მატჩში გუნდის აღიარებული ლიდერი დევიდ ბექჰემი 20 წლის ლიუკ ჩედვიკმა შეცვალა, რომელიც საერთოდ პირველად გამოვიდა სასტარტო შემადგენლობაში.

ამ ორი აღიარებული ფავორიტის გარდა, ყურადღებას იპყრობს პრემიერლიგაში დაბრუნებული „იფსვიჩ თაუნი“. მოწინავე ჯგუფში დამკვიდრება მტკიცე თამაშით, დაცვაში მშვენიერი ურთიერთდაზღვევით მოხერხდა. კლუბმა შეძლო გასვლითი მატჩის მოგება „ლივერპულთან“ – 1-0, რაც თავისთავად დიდი მიღწევა იყო. კარგი სატურნირო მდგომარეობა აქვთ „ლესტერსა“ და „სანდერლენდს“, „ლივერპულის“ მწვრთნელი ფრანგი ჟერარ ულიე კი უკმაყოფილოა და მარცხს დაცვის „ბავშვურ შეცდომებს“ აბრალებს ხოლმე.

რაც შეეხება აუტსაიდერთა ჯგუფს, აქ ყველაზე უარესი მდგომარეობა აქვთ „მიდლსბროსა“ და „ბრედფორდს“, გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთი“ კი ცდილობს როგორმე დააღწიოს თავი გათამაშების ცხრილის ფსკერს.

თუ „პრემიერ-ლიგაში“ 20 კლუბია, პირველ დივიზიონში უკვე 24 გუნდი გამოდის. აქ დიდი უპირატესობით პირველ ადგილზეა ლონდონის „ფულჰემი“, რომელსაც ეტყობა, ხელს ვერავინ შეუშლის უმაღლეს ეშელონში დასაბრუნებლად. რაც შეეხება თბილისელთა ძველ ნაცნობებს, წარსულში დიდი სახელის მქონე კლუბებს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონსა“ და თემურ ქეცბაიას „ვულვერჰემპტონ უონდერერსს“, მათი მდგომარეობა სულ სხვადასხვანაირია, „ვესტ ბრომვიჩი“ ერთ-ერთი ლიდერია, „ვულვზი“ კი ისევ იმავე ლიგაში უნდა დარჩეს.

ბივი გამრეკელი

# სპორტული პლანეტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნბა: ბრაიანტი კვლავ ბრწყინავს

***გუშინ ღამით ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პირველობაზე 8 მატჩი გაიმართა. შარშანდელმა ჩემპიონმა „ლეიკერსმა“ ისევ ბრაიანტის შედეგიანი თამაშის წყალობით გაიმარჯვა.***

წუხელს ცნობილი გახდა კიდევ რამდენიმე მატჩის შედეგი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მატჩი ფილადელფიაში, სადაც ადგილობრივი გუნდი „იუტას“ ხვდებოდა. კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ ლიდერები — ფილადელფიელი ალან აივერსონი (45 ქულა) და იუტელი კარლ მელოუნი (41). მიუხედავად იმისა, რომ უფრო ახალგაზრდა აივერსონმა ვეტერანზე მეტი ქულა დააგროვა, სტუმრებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მოედანი 91:89.

***სხვა შეხვედრები:*** დალასი — პორტლენდი 106:101, ბოსტონი — ნიუ-ჯერსი 99:86, ინდიანა — ტორონტო 98:99 (ოვერტაიმში), შარლოტი — მაიამი 65:56, სან-ანტონიო — კლივლენდი 94:77, დენვერი დეტროიტი 108:106, სიეტლი — საკრამენტო 89:85, ვანკუვერი — ვაშინგტონი 118:104, ლოს-ანჯელეს კლიპერსი — მინესოტა 103:96.

***ტორონტო — იუტა 103:95***
კარტერი — 33, მარშალი — 24.

***ატლანტა — ნიუ-იორკი 87:77***
რაიტი — 20, რაისი — 23.

***მაიამი — ლეიკერსი 79:81***
მეისონი — 20, ბრაიანტი — 23.

***ჰიუსტონი — სან-ანტონიო 79:86***
ნორის, ოლაჯუივონი — 17-17, დანკანი — 25.

***ჩიკაგო — ინდიანა 85:90***
ბრანდი — 17, მილერი — 22.

***ფინიკსი — დეტროიტი 84:89***
რობინსონი — 21, სტეკჰაუსი — 35

***გოლდენ სტეიტი — მინესოტა 120:99***
ჯეკსონი — 31, გარნეტი — 29.

***საკრამენტო — ვაშინგტონი 106:72***
უებერი — 19, სტრიკლენდი — 13.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

#### ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| **ფილადელფია** | 18 | 6 | 75,0 |
| **ნიუ-იორკი** | 15 | 11 | 57,7 |
| **მაიამი** | 13 | 13 | 50,0 |
| **ორლანდო** | 10 | 14 | 41,7 |
| **ბოსტონი** | 9 | 15 | 37,5 |
| **ნიუ-ჯერსი** | 9 | 15 | 37,5 |
| **ვაშინგტონი** | 5 | 20 | 20,0 |

#### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| **კლივლენდი** | 15 | 7 | 68,2 |
| **შარლოტი** | 16 | 9 | 64,0 |
| **ტორონტო** | 13 | 12 | 52,0 |
| **მილუოკი** | 12 | 12 | 50,0 |
| **ინდიანა** | 12 | 13 | 48,0 |
| **დეტროიტი** | 11 | 14 | 44,0 |
| **ატლანტა** | 7 | 18 | 28,0 |
| **ჩიკაგო** | 3 | 22 | 12,0 |

### დასავლეთის კონფერენცია

#### შუადასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| **იუტა** | 17 | 8 | 68,0 |
| **დალასი** | 17 | 10 | 63,0 |
| სან-ანტონიო | 15 | 9 | 62,5 |
| მინესოტა | 15 | 10 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 13 | 11 | 54,2 |
| დენვერი | 12 | 13 | 48,0 |
| ვანკუვერი | 7 | 17 | 29,2 |

#### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 17 | 6 | 73,9 |
| პორტლენდი | 17 | 8 | 68,0 |
| ლეიკერსი | 18 | 9 | 66,7 |
| ფინიკსი | 15 | 9 | 62,5 |
| სიეტლი | 13 | 12 | 52,0 |
| კლიპერსი | 8 | 18 | 30,8 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 18 | 28,0 |



## ლიდერი დისკვალიფიცირებულია

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა სენსაციური ცნობა გაავრცელეს — სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში დაწინაურებული გერმანელი ქალი მარტინა ესტლი დისკვალიფიცირებულია იტალიის ქალაქ სესტრიერში გამართულ ეტაპზე.

საქმე იმაშია, რომ თურმე, ერთლიმ ასპარეზობისას გამოიყენა უფრო ვიწრო თხილამურები, ვიდრე ეს დადგენილია საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მიერ — 6 სანტიმეტრზე ვიწრო ინვენტარით რბოლა დაუშვებელია.

## ესეც დისკვალიფიცირებულია...

**ავსტრალიელი მშვილდოსანი ვაჟი ჯექსონ ფეა, რომელსაც აქამდე ატლანტაში, ოლიმპიადაზეც უასპარეზია, მარიხუანას გამოყენებისათვის ორი წლითაა დისკვალიფიცირებული.**

## ინგლისის მთავარი ექიმი - კრივის აკრძალვის წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანს ინგლისში კრივის აკრძალვის კამპანია გაჩაღდა — ადამიანის ჯანმრთელობას ვნებსო. ამის საპასუხოდ ოფიციალური განცხადებით გამოვიდა დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ალან მილბერნი. მან „ექსტრემისტები“ უწოდა იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ლობირებენ კრივის აკრძალვას ბრიტანეთის კუნძულებზე.

## თბილისის ცირკმა კრივი „გაიხსენა“

გუშინ, საღამოს თბილისის ცირკში, სადაც ტრადიციულად ადრე მუდამ იმართებოდა მოკრივეთა მნიშვნელოვანი შეჯიბრებები, კვლავ უხმეს რინგზე ტყავის ხელთათმანის ოსტატებს. ჯერ გაიმართა სარეიტინგო ორთაბრძოლები აზერბაიჯანელი სპორტსმენების მონაწილეობით. რამაზ ბებნაძემ მოუგო ზაზა ლაზაშვილს, პაატა ვარდუაშვილმა — ბაქოელ გრიკ აბაჯიანს, აბო ქათამაშვილი დამარცხდა ასევე ბაქოელ ჯავაგ ტაგიევთან, მისი თანაქალაქელის გაბო ურუჯაევისა და ქართველ დავით წიკლაურის შეხვედრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

მთავარი მოვლენა მაინც პროფესიონალთათვის ახალდაწესებული „კავკასიის ჩემპიონის ქამრის“ მოსაპოვებლად გამართული პაექრობა იყო. ერთმანეთს ეცილებოდნენ მოსკოველი ქართველი თეიმურაზ კეკელიძე (პირველი ნაბიჯები მან როგორც სამოყვარულო, ისე, პროფესიულ კრივში რინგზე გამოსვლა თბილისში დაიწყო) და უკრაინელი ალექსანდრ გერაშენკო. მოსკოველს გუშინდლამდე პროფესიონალის რანგში 25 ბრძოლა ჰქონდა გამართული და 19 მოგებიდან 14 ნოკაუტით დაუმთავრებია. შეჯიბრების წინ აწონვაზე ქართველი მეტოქეზე 2 კგ-ით მძიმე აღმოჩნდა, სამაგიეროდ, მეტოქესაც ჰქონდა თავისებური უპირატესობა — სიმაღლე და გრძელი ხელები.

კეკელიძემ თავიდანვე აქტიურად შეუტია მეტოქეს და რამდენიმე ეფექტური დარტყმით უკრაინელი აიძულა მეტი ყურადღება თავდაცვაზე გადაეტანა. მეოთხე რაუნდში კი ლამის იყო ბრძოლა დამთავრდა, როცა ქართველი მოკრივის დარტყმის შედეგად გერაშენკო ნოკდაუნში აღმოჩნდა, მაგრამ მან მაინც შეძლო ბრძოლის გაგრძელება. ამის შემდეგ უპირატესობა კვლავ კეკელიძის მხარეს იყო და საბოლოოდ გამარჯვებაც მას ხვდა წილად, ცხადია, „კავკასიის ჩემპიონის ქამრის“ მფლობელიც ის გახდა.

**მშვილდოსნობა**

## სეზონი რეკორდით დაამთავრეს

**სიდნეის XXVII ოლიმპიადაზე ჩვენი მშვილდოსნები სუსტად გამოვიდნენ პირად და გუნდურ ჩათვლაში. მიუხედავად ასეთი წარუმატებლობისა, მათ მაინც დაგვამახსოვრეს თავი. კერძოდ, სამეულმა (ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დიასამიძე და ხათუნა ქვრივიშვილი) დაამყარა საქართველოს რეკორდი – 1.862 ქულა. ძველი მიღწევა, რომელიც თურქეთის ქალაქ ანტალიაში დამყარდა წლეულს აპრილში „გრან-პრის“ გათამაშების პირველ ტურში, ჩვენმა ქალებმა გააუმჯობესეს 117 ქულით. ამის შესახებ წერს მშვილდოსნობის ჟურნალი („არხიერი“), რომელშიც დაბეჭდილია სიდნეის ოლიმპიადის შედეგები.**

## სპორტის არაოლიმპიური სახეობების ეროვნულმა კომიტეტმა დაასახელა

გუშინ გამართულ სპორტის არაოლიმპიური სახეობების ·ალმასკომის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს წლის ლაურეატები.

***საქართველოს №1 სპორტსმენად დასახელდა***

***ერეკლე გურჩიანი — მკლავჭიდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (მარჯვენა და მარცხენა ხელით).***

***10 საუკეთესო სპორტსმენი*** (გვარები დალაგებულია ანბანის მიხედვით):

***ნიკოლოზ ბიბილაშვილი*** — სამბო, მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი;

***ელენე ბოლაშვილი*** — კიკბოქსინგი, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი;

***ალექსი დავითაშვილი*** — ქართ. ჭიდაობა, საქართველოს ფალავანი, სუმოში ევროპის III პრიზიორი;

***ლევან ებანოიძე*** — სუმო, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების III პრიზიორი;

***ტატა შვანგირაძე*** — ვადო კარატე, ევროპის ჩემპიონი ქალთა შორის;

***გიორგი ჩაკვეტაძე*** — კიკბოქსინგი, მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის „ოქროს ქამრის“ მფლობელი;

***არჩილ ჩოხელი*** — სამბო, ევროპისა და მსოფლიო პირველობების III პრიზიორი;

***რაჯი ლალიტაშვილი*** — მკლავჭიდი, ევროპის ორგზის ჩემპიონი (მარჯვენა და მარცხენა ხელით);

***ვახტანგ ჯავახაძე*** — მკლავჭიდი, მსოფლიო ჩემპიონი;

***გიორგი წიკლაური*** — კიკბოქსინგი, მსოფლიო ჩემპიონი.

***3 საუკეთესო მწვრთნელი*** (ანბანით):

***გივი ზაუტაშვილი (სამბო), ვახტანგ მუსელიანი (მკლავჭიდი), გოჩა ჯავახია (კიკბოქსინგი).***

***3 საუკეთესო მსაჯი***

***დავით გიორგანაშვილი (საბრძოლო ხელოვნება), ემილ რაში (სამბო), ნუგზარ ძუკაევი (აკრობატიკა).***

## სპორტული მედიცინა ახლოს მიდის სპორტთან, მაგრამ...

საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის (პრეზიდენტი გია აბესაძე) ძალისხმევით და სეოკ-ის ხელშეწყობით, სამედიცინო თვალსაზრისით, წლევანდელ ოლიმპიურ თამაშებს ოთხი წლის წინანდელზე უკეთ მომზადებული შევხვდით. თუმცა, ფინანსური სიმწირის გამო პროგრამა სრულად ვერც ამჯერად შესრულდა.

ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომამ შეაჯამა ოლიმპიელთა სამედიცინო მომსახურების შედეგები. ანგარიშით წარსდგა ეროვნული ოლიმპიური ნაკრების ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი. „მიუხედავად იმისა, რომ ექიმებზე ბოლო ხელფასი შარშან დეკემბერში გაიცა, ოლიმპიელებისთვის სამედიცინო გამოკვლევები არ დაგვიკლია. გავაკეთეთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა საქართველოს შესაძლებლობის ფარგლებში. „სხივურ და ინტერვეციულ ცენტრში“ (ხელმძღვანელი ფრიდონ თოდუა) 10 სპორტსმენს ჩაუტარდა უფასო ღრმა სამედიცინო გამოკვლევა“ – თქვა ზ. კახაბრიშვილმა. მანვე მადლობით მოიხსენია ფირმა „როშე“, რომელმაც ათასობით დოლარის მედიკამენტები და საკვები დანამატები გადასცა უსასყიდლოდ ოლიმპიელებს. სოლიდური იყო აგრეთვე ფირმების „ავერსისა“ და GPS-ის დახმარება.

ოლიმპიელებთან მიმაგრებული ექიმები დაძაბულად მუშაობენ, რადგან დოპინგის შემცველი სამედიცინო პრეპარატების სია პროგრესულად იცვლება და დიდი სიფრთხილეა საჭირო. უყურადღებობის გამო, მაგალითად, სომხებს მედალი ჩამოართვეს სიდნეიში. საგულისხმოა, რომ თამაშებზე ჩვენს ოლიმპიელებს 19 დოპინგ-ტესტი ჩაუტარდათ, ფინალისტებმა და ათეულში მოხვედრილმა სპორტსმენებმა დამატებითი შემოწმება გაიარეს და ყოველთვის ყველაფერი წესრიგში იყო.

ითქვა ისიც, რომ ჩვენი სპორტსმენები და მათი მწვრთნელები ხშირად ეწინააღმდეგებიან ექიმთა მოთხოვნებს. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ძიუდოისტი ნესტორ ხერგიანი გადაიღალა, რამაც უარყოფითად იმოქმედა ოლიმპიურ ტატამზე მისი გამოსვლისას. ფსიქოლოგმა ამირან გრიგოლავამ საყვედური გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ორთვიანი მუშაობა ოლიმპიელებთან არ იყო საკმარისი...

ნინო აფაქიძე

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# ანანდი – შიროვი

თეირანში დაიწყო მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფიდეს ვერსიით ვიშვანათან ანანდსა (ინდოეთი) და ალექსეი შიროვს (ესპანეთი) შორის. ეს ორთაბრძოლა სულ 6 პარტიისაგან შედგება, ისე, რომ ახლა არც დაზვერვის დროა და არც რაიმე ექსპერიმენტის — ერთი წაგება შეიძლება გადამწყვეტი გამოდგეს.

პირველ პარტიაში ანანდმა შავებით მიმართა ფრანგულ დაცვას, რომლის წინააღმდეგ ყოველთვის წარმატებით თამაშობს.... თეთრებით! თავის მხრივ, რათა რაიმე სიურპრიზი თავიდან აეცილებინა, შიროვმა მიმართა ამჟამად ნაკლებ პოპულარულ ვარიანტს ცენტრის ჩაკეტვით და თამაშის სიმძიმის ფრთებზე გადატანით.

დებიუტიდან გამოსვლისთანავე, ანანდმა მიიღო რისკიანი გადაწყვეტილება მოეგო თეთრების ცენტრალური პაიკი. ეს შიროვისათვის, ფრიად აგრესიული სტილის მოჭადრაკისათვის, ხელსაყრელი აღმოჩნდა. მან ჯერ მეტოქეს როქის უფლება მოუსპო, შემდეგ კი ლაზიერით შეიჭრა შავების ბანაკში. ანანდს, თუმცა ზედმეტი პაიკი დარჩა, მაგრამ დიდი უსიამოვნება დაემუქრა. შიროვი აპირებდა ეტლი გადაესროლა ინდოელის ბანაკში. ამ მომენტში ინტერნეტის კომენტატორები ანანდის პოზიციას აფასებდნენ, როგორც აშკარად არახელსაყრელს.

ამის მიუხედავად ანანდმა მაინც გამონახა დასაცავი სათანადო რესურსები, დაუბრუნა მეტოქეს პაიკი და 34-ე სვლაზე, მატჩში პირველი ყაიმი აღინიშნა.



## ეს გამოუცნობი როდმანი

კაი ვინმეა ვეტერანი კალათბურთელი დენის როდმანი, ნბა-ს ექვსგზის ჩემპიონი, „დეტროიტ პისტოლზსში", „ჩიკაგო ბულზში" და „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" თამაშით რომ მოიპოვა, მან კიდევ ერთი „ოქრო" მოიგო. არა, იგი რომელიმე სილამაზის კონკურსში არ გამოსულა, თუმცა, არაერთხელ ჩაუცვამს ქალის კაბა — რითი ვარ ლამაზმან მანეკენებზე უარესიო? ამჯერად როდმანმა რისლინგში WCW ვერსიით სუპერმძიმეწონოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. სიდნეიში, „სუპერდოუმის" დარბაზში (იქ, სადაც ამას წინათ კალათბურთელთა ოლიმპიური ტურნირი მიმდინარეობდა) მან თვით კურტ ჰენინგს სძლია, რომელიც უკვე 15 წელია დაუმარცხებელია პროფესიულ რინგზე. ეს მით უფრო საკვირველია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დენისმა სულ სამი წელია, რაც საერთოდ შეიტყო, რა არის ჩხუბის ეს სახეობა.



*სურათებზე: მარცხნივ — როდმანი; მარჯვნივ — აი, ასეთ დღეში ჩაავდო როდმანმა 15 წლის განმავლობაში დაუმარცხებელი კურტ ჰენინგი.*

## კარპოვს აქაც არ გაუმართლა

ფრანგულ ქალაქ კაპ'დ'არგ-ში გაიმართა დიდი ტრადიციული ტურნირი სწრაფ ჭადრაკში 16 ცნობილი დიდოსტატის მონაწილეობით.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანატოლი კარპოვი და ცნობილი დიდოსტატი მიხაილ გურევიჩი, რომელიც დიდხანს ხარკოვში ცხოვრობდა, ახლა კი ბელგიის უძლიერესი მოჭადრაკეა და ამ ქვეყნის ნაკრებში პირველ დაფაზე თამაშობს. ეს ორთაბრძოლა მიხაილ გურევიჩმა მოიგო – 2,5:1,5.

## 2001 წელს: რუსეთი – ჩინეთი

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინელები სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ არა მარტო ქალთა, არამედ ვაჟთა ჭადრაკში, ამიერიდან გადაწყდა აღსდგეს ტრადიციული მატჩები რუსეთისა და ჩინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. მიღებულია გადაწყვეტილება პირველი ასეთი მატჩის ჩინეთში ჩატარების შესახებ, თითოეულ გუნდში 6 ვაჟი, 2 ქალი და 2 ჭაბუკი ითამაშებს.

## პროფესიული კრივის სამყაროში

# ჰონორარის 10 პროცენტს შეელევა?

საქმე იქით მიდის, რომ მძიმე წონის პოლონელი ანჯეი გოლოტა, ალბათ, შეელევა 10 პროცენტს 2 მილიონიანი ჰონორარიდან, რომელიც მას ეკუთვნის ამ შემოდგომაზე მაიკ ტაისონთან ბრძოლისთვის. ტელეარხი **Showtime**, რომელმაც ბრძოლის ტრანსლაციის უფლება შეისყიდა, ედავება პოლონელს, რომ მან შეხვედრის მეორე რაუნდში დატოვა რინგი. ამის გამო მოკრივემ დაარღვია კონტრაქტის ის პუნქტი, მეტოქეების „კარგ ბრძოლას" რომ ითვალისწინებდა, რაც, არხის აზრით, არ ყოფილა. როგორც ითქვა, გოლოტას ანაზღაურება 2 მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო. საკითხის ასეთ გადაწყვეტას არ ეთანხმებიან პოლონელი მოკრივის პრომოუტერები. ისინი ამტკიცებენ, რომ გოლოტამ ტრავმის გამო დატოვა რინგი.

ზოგიერთი მონაცემით, ტაისონთან ბრძოლისთვის გოლოტამ მიიღო ჰონორარი, მაგრამ მისი მწვრთნელი ელ ჩერტო ირწმუნება, ეს მხოლოდ 1,8 მილიონიანი ჩეკი იყო.

## შიროვი დიდ ცვლილებებს მოითხოვს

***ფიდემ თავის საინტერნეტო საიტზე გამოაქვეყნა დიდოსტატ ალექსეი შიროვის საინტერესო წერილი, რომელსაც გთავაზობთ ერთგვარი შემოკლებებით***

– მე მრავალი წელია ვთამაშობ ტურნირებში, სადაც სხვადასხვა რეგლამენტია გამოყენებული. მივედი იმ დასკვნამდე, რომ პროფესიული საჭადრაკო შეჯიბრებების თანამედროვე სისტემაში რაღაცა უნდა შეიცვალოს. პირველ რიგში ეს დროის კონტროლს უნდა შეეხოს.

დღეისათვის ძირითადად დროის ორ კონტროლს იყენებენ: სტანდარტულ 7-საათიანს, სადაც აუცილებელია იმ ტურნირებში, რომელსაც ფიდე აღრიცხავს (ნება მიბოძეთ მას „ნელი ჭადრაკი" ვუწოდო), და სწრაფს, როცა თითოეულ მეტოქეს მთელი პარტიისათვის 25 ან 30 წუთი ეძლევა. ასეთი ტიპის შეჯიბრებებს ფიდე არ ითვალისწინებს.

ვფიქრობ, რომ „ნელი ჭადრაკის" დღევანდელი მდგომარეობა მაინცდამაინც შესაშური არ არის. იმ ფაქტს, რომ 7-საათიანი პარტია გაცილებით უფრო შინაარსიანია, მასმედიისათვის ახლა მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ფართო საზოგადოება დაიღლება და ამ დროის მანძილზე პარტიას თვალყურს ვერ ადევნებს. რაც შეეხება ორგანიზატორებს, მათაც იმედებს უცრუებთ მრავალრიცხოვანი „მოკლემეტრაჟიანი" ყაიმები, თუმცა ერთმანეთს დიდოსტატები ხვდებიან. ისინი ასეთ ტურნირებს იმიტომ აწყობენ, რომ „სწრაფი ჭადრაკი" სარეიტინგო სისტემაში არ არის გათვალისწინებული.

ბევრი მოჭადრაკისათვის სულ ერთია, „ნელ" ჭადრაკს ითამაშებენ თუ „სწრაფს". ეს მაშინ, როცა სწრაფი ჭადრაკის პოპულარობა წლითიწლობით იზრდება და ეს ყველა დონეს ეხება. ჩემი პირადი გამოცდილებით, პარტიები სწრაფ ჭადრაკში ძალიან მაღალ დონეზე თამაშდება, რამდენადაც მნიშვნელოვნად იზრდება მოთამაშეების კონცენტრაცია და თვითდისციპლინა. ამიტომ ჭადრაკში მდგომარეობა გაცილებით უფრო გაუმჯობესდებოდა, თუ ფიდეს მიერ მოწყობილ შეჯიბრებებში პარტია 2 ან 2,5 საათს გაგრძელდება და არა უფრო მეტ ხანს.

თუკი ორგანიზატორებს ელექტრონული, ე.წ. ფიშერის საათები ექნებათ, მაშინ სჯობს თამაში ასე წარიმართოს: თითოეულ მოჭადრაკეს მიეცეს 40 წუთი, ამასთან, როგორც ფიშერის სისტემით არის გათვალისწინებული, ყოველი სვლის შემდეგ მას ავტომატურად დაემატება 30 წამი. ასეთი კონტროლი მოჭადრაკეებს საშუალებას მისცემს მაღალი დონის პარტია ითამაშონ, მოსაგები პოზიცია ცაიტნოტში არ გააფუჭონ. გარდა ამისა, იქნება საშუალება დღეში ორი შეხვედრის ჩატარებისა, რაც ნოკაუტ-სისტემისათვის იდეალურია. მიმაჩნია, რომ მოჭადრაკეებს შეუძლიათ სვლები არც კი ჩაიწერონ – ამას ელექტრონული სისტემა გააკეთებს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

**22 დეკემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** კრივი. კავკასიის პროფესიონალთა ტურნირი. ვიდეოჩანაწერი (16.00), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (23.30), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.20, 17.05), საფრანგეთის (15.20, 20.00), შოტლანდიის (18.05, 1.35), ჰოლანდიის (21.30), იტალიის (23.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.40, 23.20), კალათბურთი. ევროლიგა (12.10), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა, ვაჟები (15.10), ***ESPN.*** ფეხბურთი, „ლაციო" – „რომა" (12.30), „ლაციო" – „ბარი", ვიდეოჩანაწერები (0.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (13.30, 20.00, 2.15), კალათბურთი. ევროლიგა (21.30), ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალთა შორის, საფრანგეთიდან (23.00).

**23 დეკემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (19.00), იტალიის ჩემპიონატის მატჩი (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (13.15, 23.25), ჰოლანდიის (15.00), შოტლანდიის (16.45), ინგლისის (18.55), საფრანგეთის (20.50), ბრაზილიის (21.30). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.50). სპორტული ცეკვები. „გრან-პრი" (15.30). კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა (20.45). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: „არსენალი" – „ლივერპული" (16.00, 21.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (13.30, 20.00, 2.15), კალათბურთი. ევროლიგა (21.30), ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალთა შორის (23.00).

**24 დეკემბერი, კვირა**

***საქართველოს ჩემპიონატი. I არხი.*** მონდიალი (18.40), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.50), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის (13.15), იტალიის (15.00, 21.35), საფრანგეთის (16.45, 0.35), ბრაზილიის, ფინალი (17.25, 22.50), ჰოლანდიის (19.50) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (14.40), სპორტული ცეკვები. გრან-პრი (15.00). ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.50). ***ESPN.*** ცხენოსნობა. დაიჯესტი (9.00), ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგა: „არსენალი" – „ლივერპული" (11.30). იტალიის ჩემპიონატი: „ლაციო" – „ბარი" (15.00), ინგლისის პრემიერლიგა (22.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (15.00, 20.00, 1.00, 2.00, 3.30, 4.00).

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ჩოგბურთელი, სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**

**ალექსი ვერულავა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## კროსვორდი №100

**თარაზულად:** 1. ველომრბოლთა არენა, 4. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 8. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 10. პოლონეთის კლუბი, 12. ცნობილი ქართველი აფროსანი, 13. საქართველოს საკალათბურთო კლუბი (აბრევიატურა), 15. ფეხბურთელ შირერის სახელი, 18. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 19. ზაზა ჯანაშიას მწვრთნელი, 20 რუმინელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 23. სპორტული ასპარეზობა, 24. გერმანელი ფეხბურთელი, მეკარე, 26. უნგრეთის საფეხბურთო კლუბი, 29. სპორტის სათამაშო სახეობა, 32. კლუბების გაერთიანება, 33. წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო მეკარე, 34. საქართველოს საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 2. „... ვალეკანო", 3. იტალიის სერია „A"-ს კლუბის მეპატრონე, 5. იტალიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 6. კამერუნელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 7. „ბეშიქთაშის" მცველი, 8. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, 9. აზიის ფეხბურთის კონფედერაციის წევრი ქვეყანა, 11. ახლო წარსულში თიანეთის საფეხბურთო კლუბი, 13. საჩოგბურთო ასპარეზობა — „დიდი ...", 14. თურქეთის საფეხბურთო ნაკრების წევრი, 16. ჭადრაკში კოეფიციენტების ცხრილის ავტორი, 17. მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი, 21. წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, მეკარე, 22. უმაღლესი საჭადრაკო ჯილდო, 25. ინგლისელი ფეხბურთელი, 27. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 28. მსოფლიოს ექსჩემპიონი მოჭადრაკე ვაჟი, 30. ცნობილი პროფესიონალი მოკრივე, 31. წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ვაჟი.



## №99 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. „კოლოსი", 6. კალაძე, 9. „აზოტი", 11. „ბრედა", 12. გურგენიძე, 15. სტარტი, 18. მორისი, 19. ქარდელი, 20. „ეგრისი", 21. კაპელო, 24. სნუკერი, 26. ტიბეტი, 27. ანანკო, 31. „სპორტინგი", 33. ბრემე, 34. ბესტი, 35 პროსტი, 36. რიბეკი.
**შვეულად:** 1. პორტი, 2. ესებუა, 3. შანიძე, 4. აძურა, 7. აზარტი, 8. „ოდენსე", 10. „მერიდა", 13. შტანგისტი, 14. იოსელიანი, 16. ტაისონი, 17. ალდაირი, 22. აკოსტა, 23. სივორი, 25. „სკონტო", 28. „სპარტა", 29. აგასი, 30 ამორო, 32. ბენკო.

## საჭადრაკო ამოცანა

ი. ბარსკი



შამათი 2 სვლაში

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №8 დეკემბერი, 2000 წელი

**ვულოცავთ!**

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია და ამავე ფერდერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია ბატონ ირაკლი მეძმარიაშვილს ულოცავს სახელმწიფო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნას. უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და გამარჯვებას, როგორც პირად ცხოვრებაში ასევე ქართულ სპორტთან. თქვენი იმედი აქვს ქართულ სპორტს, ბატონო ირაკლი.

**ვულოცავთ!**

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია და მისი პრეზიდენტი კახა ბასილია ულოცავს, ხელახლა არჩევას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბატონ ჯანო ბაგრატიონს, რომელსაც უსურვებს ჯანმრთელ, ბედნიერ ცხოვრებას, დიდ გამარჯვებებს ქართველ ოლიმპიელებთან ერთად და უამრავ ოლიმპიურ ჩემპიონს.

2004 წლის ოლიმპიადის თამაშები საუკეთესო უნდა იყოს ქართული სპორტის ისტორიაში, თვენი შემწეობით, ბატონო ჯანო.



ლევან გორელაშვილი (მარცხნივ) - 1999 წლის საუკეთესო სპორტსმენი ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ დააჯილდოვა სპეციალური პრიზით

# საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

## საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში

## 27-28 დეკემბერი

# კარატე - 2000

*ორგანიზატორები

## - საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
## - საქართველოს მოქალაქეთა კავშირი

* მიზანი და ამოცანები
- კარატე-დოს პოპულარიზაცია და განვითარება საქართველოში.
- ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება.
- მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება.

* შეჯიბრების პროგრამა

2.1 პირველობა ტარდება ვაჟებში და გოგონებში ინდივიდუალური კატა და კუმიტე.
გუნდური კატა.





2.1 მონაწილეთა ასაკი.

კუმიტე.
I ასაკი 8-9 წლები
II ასაკი 10-11 წლები
III ასაკი 12-13 წლები
IV ასაკი 14-15 წლები
V ასაკი 16-17 წლები
VI ასაკი 18-21 წლები

კატა
I ასაკი 8-13 წლები
II ასაკი 14-21 წლები

2.3 ჩატარების დრო და ადგილი.

- პირველობა ტარდება 27-28 დეკემბერს 2000 წ. ქ. თბილისში. არმიის სპორტული კლუბის შენობაში.

27 დეკემბერს – კატა ინდივიდუალური, გუნდი, დასაწყისი 1100
28 28 დეკემბერს – ინდივიდუალური კუმიტე დასაწყისი 1000

3. შეჯიბრის წესები, ჩატარების სისტემა და პიროგა.

3.1. შეჯიბრება კუმიტესა და კატაში ჩატარდება (W.S.K.F-ს) წესების მიხედვით.

3.2 . შეჯიბრს მოემსახურებიან მსაჯები, რომელთაც გააჩნიათ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის მსაჯობის ლიცენზია.

3.3 შეჯიბრში მონაწილე გუნდებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი დამოწმებული ექიმის ბეჭდით.

4. დაჯილდოება

4.1 შეჯიბრში გამარჯვებულები და საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

4.2 შეჯიბრის შემდეგ მსაჯებისთვის და გუნდის წარმომადგენლებისთვის გაიმართება ბანკეტი.



**28 დეკემბერს, შეჯიბრის დასასრულს, დასახელდება 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენი, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტი დააჯილდოებს სპეციალური პრიზით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარატეს პირველი ევროპის ჩემპიონატი საქართველოში




წელს უკვე მეოთხედ ჩამოვიდა, 29 ნოემბერს კარატეს გამოჩენილი ოსტატი, მსოფლიოს 7 გზის ჩემპიონი, VIII დანის მფლობელი ჰიტოში კასუია. მისი ჩამოსვლის მიზანია ქართველი კარატისტების კვალიფიკაციის ამაღლება და პოპულარიზაცია. მის ასეთ რეგულარულ ჩამოსვლას და ჩვენი სპორტსმენების დონის ამაღლებას, რაც უკვე კარგად იგრძნობა მათი მიღწევებით საერთაშორისო და მსოფლიო ჩემპიონატებზე, რასაც თვითონ ოსტატიც აღნიშნავს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ კახა ბასილიას უნდა ვუმადლოდეთ. ჩვენში კარატეს განვითარებასა და პოპულარიზაციაში ბატონ კახას და მის სენსეის ჰიტოში კასუიას უდიდესი წვლილი მიუძღვით.

ჰიტოში კასუიამ ჩვეულებრივ, სამდღიანი სემინარის შემდეგ გამოცდებიც ჩაიბარა შავი ქამრის სხვადასხვა დანებზე და მათი მაღალი დონით კმაყოფილი დარჩა.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კარატე განვითარების ჭეშმარიტ გზაზე დგას. მოხდა სასიხარულო და საამაყო ფაქტი, ჰიტოში კასუიასთან ერთად კახა ბასილიამ გადაწყვიტა, რომ პირველად საქართველოში, 2001 წელს ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი კარატეში, სადაც 30-ზე მეტი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ 8 წლის ასაკიდან ზევით. ჩვენს სპორტსმენებს შეეძლებათ ასეთი დონის ტურნირში საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღონ, რაც კიდევ ერთი წინ წადგმული ნაბიჯი იქნება. ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში კარატეს ნამდვილ განვითარებაზე რეალურად ზრუნავენ, რაც მისასალმებელია, ამისთვის კი მადლობა უნდა უთხრათ ბატონ კახა ბასილიას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დღევანდელ პირობებში მაინც ხერხდება ასეთი გრანდიოზული ჩემპიონატების მოწყობა, რაც ვფიქრობ უფრო გახშირდება.

ასე რომ გზა დავულოცოთ, საქართველოში მომავალ პირველ ევროპის ჩემპიონატს კარატეში, ყოველწლიური გამხდარიყოს და ერთად-ერთი, ყველაზე პრესტიჟული მთელს ევროპაში.



ჰიტოში კასუი (მაცხნივ) სემინარზე

## ზურაბ მესხი: „რად მინდა ისეთი ქართველი კაცი, რომელსაც უბრალოდ თავის დაცვა არ შეეძლება"

**სულ ახლა ხანს თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში აღმოსავლური ორთაბრძოლების ერთ-ერთი პოპულარული სახეობა, კარატე დაინერგა, რომელიც როგორც სხვა საგნები ისე ჩაუტარდებათ სკოლის მოსწავლეებს. ამ ახალ, მომავლის საქმეს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ინსტრუქტორი, შოტოკან კარატე-დოს მე-2 დანის (W.S.K.F) მფლობელი - ზურაბ მესხი ჩაუდგა სათავეში. ალბათ ყველასათვის საინტერესოა, თუ რა უდევს საფუძვლად სპორტის ასეთ ახლებურ მიდგომას, ან რა შეიძლება მიიღოს აღსაზრდელმა... ამის თაობაზე თავად ზურაბ მესხს მოვუსმინოთ.**

***- ზურაბ, 53-ე საშუალო სკოლაში კარატეს ახლებური მეთოდით დანერგვა, როგორც საგანი, რას ისახავს მიზნად?***

- იცით რა? კარატე მარტო ხელ-ფეხის ქნევა როდია. ამ საქმის და ჩვენი მიზნის ჭეშმარიტებისაკენ წინსწრაფვაა. სწორ გზაზე, ნათელი მომავლისაკენ წავიყვანოთ ბავშვები. ადამიანმა უნდა ივარჯიშოს, რათა ფიზიკურად და სულიერად გაძლიერდეს, ჯანმრთელი იყოს და ელემენტარულად შეიგნოს ის, რომ სხვისი დაჩაგვრა არ შეიძლება, რა სიძლიერისაც არ უნდა იყო შენ, ან ის... შემკული იყოს ვაჟკაცური თვისებებით, ზრდილობით, წესიერებით, პატიოსნებით... რაც დღეს-დღეობით ასე ძალიან აკლია ჩვენს ახალგაზრდობას. რად მინდა ისეთი ქართველი კაცი, რომელსაც უბრალოდ თავის დაცვა არ შეეძლება. მითუმეტეს, რომ მას ქვეყნის დაცვა ევალება, რაც თითოეული ჩვენთაგანის ვალია. აი, რატომ დავნერგეთ...

***- როგორი იყო ბავშვების, ან მშობლების პირველი რეაქცია?***

- მართალია, ჯერ სულ ახალი დაწყებული გვაქვს მუშაობა, მაგრამ ბავშვებში დიდი მონდომება, სიხარული იგრძნობა. აი, ერთ-ერთ მაგალითსაც გეტყვით: ამავე სკოლის მოსწავლის მშობელმა გაგვიმხილა, რომ ბავშვს უთქვამს - ოლონდ კარატეზე მატარე და გაკვეთილებს ყველაზე კარგად ვისწავლიო. რა თქმა უნდა მშობელი ამ შედეგით კმაყოფილი დარჩა და ამ მაგალითზე მინდა ვთქვა, რომ აღმოსავლური ორთაბრძოლის ამ სახეობის დანერგვით, სკოლის სხვა საგნებს განსაკუთრებული, უფრო დიდი ყურადღებით მოეკიდებიან.



***- სკოლის ხელმძღვანელობა როგორ შეხვდა თქვენს იდეას?***

აქ უკვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს 53-ე სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის დიდი წვლილი ამ იდეის განხორციელებაში. მათი დახმარებით სკოლაში კარატეს გაკვეთილს რამოდენიმე საათი დაუთმეს. გარდა იმისა, რომ ბავშვები დაეუფლებიან ორთაბრძოლის ხელოვნებას, მიეჩვევიან დისციპლინას, ჩამოუყალიბდებათ ზნეობრივი ნორმები და ხელს შეუწყობს მათი პიროვნების ჩამოყალიბებას. ამისათვის კი ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

***- თუ გაქვთ სამომავლო გეგმები, რას პირდებით ბავშვებს?***

- თავდაპირველად, სპორტული ჟინი და ინტერესი უნდა გავაძლიეროთ და გავუღრმავოთ, რაც დიდ შრომას მოითხოვს... სკოლასთან შეთანხმებით კი ჩავატარებთ საატესტაციო გამოცდებს.

ამის შემდეგ დირექცია ამოარჩევს ბავშვებს, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ გახდნენ ჩვენი ფედერაციის სრულუფლებიანი წევრები. ამასთან ერთად შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და სხვა რანგის შეჯიბრებებზე. ამას უკვე მომავალი გვიჩვენებს...

***- ზურა, რამდენი ხანია რაც კარატეს სამყაროში მოღვაწეობ და რა არის შენთვის ეს სპორტი?***

- უკვე 16 წელია რაც ამ დიდებულ სამყაროს ვემსახურები. რაც შეეხება იმას, თუ რა არის ჩემთვის კარატე - ის მთელი ჩემი ცხოვრებაა...

***- როგორ იყენებ შენს შესაძლებლობებს, ხშირად ჩხუბობ?***

- სხვათა შორის, ჩხუბი პირველს არასოდეს დამიწყია, მხოლოდ თავს ვიცავ.

***- თქვენი ჯილდოების რაოდენობა გაგვიმხილეთ, ბევრია?***

- უჰ, ისინი რომ დამათვლევინა (იცინის).

***- და ბოლოს, თქვენი სამომავლო გეგმები?***

- ჩემი დიდი სურვილი და ინტერესი არის, რომ ყველა სკოლაში გავრცელდეს ეს მეთოდი და დაინერგოს ეს მომავლის სპორტი და საქმე. რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩაებას. ჩვენდა საიმედოდ კი მხარდამჭერების მთელი არმია გვყავს.

**მჯერა, რომ მართლაც ბევრი ადამიანი დაუჭერს მხარს ამ მამულიშვილურ საქმეს და დახმარების ხელსაც გაუწვდის. ჩვენ კი დაველოდოთ, თუ როგორ შეასრულებს ახალგაზრდა, ენთუზიაზმით, იმედებითა და ჯან-ღონით სავსე, კარატეს ქართველი ოსტატი.**


### საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

### სტუდენტური სპორტი

ყურადღება!

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი".

გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.

მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.

ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი" - გაახალგაზრდავდით!


**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**